



ჰესების გენდებლოგა სვანეთში და  
მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე

# ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

ქ. თბილისი

2019

წინამდებარე კვლევა მომზადებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია EMC და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

**კვლევის ავტორები:**

**მკვლევარი:** ეთო გვრიტიშვილი;

**კვლევის ასისტენტი:** თორნიკე გერლიანი;

**კვლევის ხელმძღვანელი:** კოტე ერისთავი;

**გარეკანი:** სალომე ლაცაბიძე

მისამართი: ი.აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო;

ტელ: +995 032 2 23 37 06

ელ.ფოსტა: info@emc.org.ge

fb: <http://fb.com/RIGHTSEMC>

[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)

**სარჩევი**

**ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე..... 1**

შესავალი.....4

კვლევის მეთოდოლოგია და ლიმიტაციები .....5

ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული ზოგადი კონტექსტი .....6

ჰესების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების კონტექსტში ..... 11

**ნენსკრაჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა .....14**

განმახორციელებელი/შემსრულებელი კომპანია (ინვესტორი).....15

პროექტის დაფინანსების წყარო .....16

პროექტის მიმდინარეობა და EPC კონტრაქტორი .....19

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.....20

ნენსკრაჰესის საგადასახადო შენატანი .....22

**ხუდონჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა.....24**

განმახორციელებელი/შემსრულებელი კომპანია (ინვესტორი).....25

პროექტის მიმდინარეობა და სტატუსი .....27

გარემოზე ზემოქმედების შეფასება .....29

**ჰესების მშენებლობის უფლებრივი ზეგავლენა.....30**

ჰესების ზეგავლენა საკუთრების უფლებასა და საჯარო რესურსებით სარგებლობაზე .....30

შრომითი უფლებები და დასაქმება.....41

მკვიდრი მოსახლეობის (Indigenous People) სტატუსი .....44

ჰესების მიმართ წინააღმდეგობა და გამოხატვის თავისუფლება .....51

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება/ადვოკატირება .....54

**კვლევის ძირითადი მიგნებები: .....56**

## შესავალი

საქართველოში ენერგეტიკის განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების/წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ხედვაა/განმაპირობებელია. ეკონომიკური განვითარების გარდა, ამ სფეროს განვითარების/გაფართოების ერთ-ერთი ძირითადი დეკლარირებული მიზანი სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების მოპოვების არგუმენტია: „საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით.“<sup>1</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსი არსებობს, ეკონომიკური განვითარების ფოკუსში სწორედ ჰიდროენერგეტიკა მოექცა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად „ქართული ოცნება“ 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამით, ამომრჩეველს, სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, დიდი ჰესების აკრძალვას ჰპირდებოდა<sup>2</sup>, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მსგავსად, გააგრძელა ამ მიმართულებით ინტენსიური პოლიტიკის გატარება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2008 წლიდან 2019 წლის 01 თებერვლის ჩათვლით ინვესტორთან გაფორმებულია 187 ურთიერთგაგების მემორანდუმი, ხოლო ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს 117 ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე.<sup>3</sup>

სვანეთში არსებული მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ენერგეტიკის განვითარების აქტიურ თვალთახედვაში, სხვა მაღალმთიანი რეგიონების პარალელურად, მოექცა ზემო სვანეთიც, სადაც მდინარე ენგურის აუზში ჯამში 20-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება/მიმდინარეობს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი; საქართველოს მთავრობა; ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) 2018 წ. გვ.27 ხელმისაწვდომია: <https://www.mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf>

<sup>2</sup> პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამა; გვ.55; ხელმისაწვდომია: <http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf>

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი; გვ.178; ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

<sup>4</sup> „ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები“ ტომი 10 კომულაციური ზემოქმედების შეფასება 2017 წ. ნოემბერი; გვ.13; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-10\\_ES-Nenskra\\_CIA\\_Nov2017\\_GEO.pdf](http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-10_ES-Nenskra_CIA_Nov2017_GEO.pdf)

ზემო სვანეთში დაგეგმილი ჰესების სიმრავლემ, წარსული გამოცდილებით საქართველოში არსებულ პროექტებზე წარმოებული კვლევებისა და სამშენებლო სამუშაოების უხარისხობამ, წინასაპროექტო პერიოდში მოსახლეობასთან არასათანადო კომუნიკაციამ და სხვა სოციალურმა გარემოებებმა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის კრიტიკა და პროტესტი გამოიწვია.

მოსახლეობის პროტესტსა და პროექტების მიმართ გაუცხოებას კიდევ უფრო აღრმავებს ადგილობრივი მოსახლეობისა თუ აქტივისტების ლეგიტიმურ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის ნაცვლად, მათი პროტესტის მარგინალიზაციის მცდელობა და საზოგადოებისთვის ჰესებთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტების ხელმიუწვდომლობა.

ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა სვანეთში დაგეგმილი ორი ჰიდროელექტროსადგური – ნენსკრაჰესისა და ხუდონჰესის მშენებლობის მიმართ პროტესტი პროექტების მასშტაბური ხასიათიდან და მოსახლეობის შედარებით დიდ რაოდენობაზე ზეგავლენით არის განპირობებული.

კვლევა შეეცდება, მითითებული პროექტების მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე სავარაუდო ზეგავლენის შესწავლის საფუძველზე, შეაფასოს და განაზოგადოს ის სისტემური გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები დადებით როლს შეასრულებს ამ მიმართულებით არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაში და ხელს შეუწყობს სახელმწიფო პოლიტიკის პოზიტიურ ტრანსფორმაციას.

### კვლევის მეთოდოლოგია და ლიმიტაციები

ანგარიშის მომზადების პროცესში EMC-მ სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი გამოიყენა. ემპირიული მასალის შეგროვება უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით: სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა; საქართველოს კანონმდებლობის ბაზისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლა; სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახალხო დამცველთან დაცული ინფორმაციის შესწავლა. კვლევის ფარგლებში 2019 წლის მაისში გასვლითი შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან მესტიის მუნიციპალიტეტში და ჩაიწერა ჩაღრმავებული ინტერვიუები; ინფორმაცია შეგროვდა ასევე მედიამონიტორინგის გზით, მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და კლასიფიცირების შემდეგ კი კრიტიკულად შეფასდა ადამიანის უფლებების სტანდარტების ფონზე.

ანგარიშში გამოყენებულია საქართველოსთვის მბოჭავი/შემზღუდველი საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტანდარტები.

კვლევის ფარგლებში, რელევანტური ინფორმაციის მოძიების მიზნით, მოთხოვნა გაეგზავნათ პროექტის განმახორციელებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც. კვლევის ფარგლებში EMC-ის კორესპონდენციას უპასუხა სს „ნენსკრა ჰიდრომ“, რომელმაც,



შემჭიდროებული ვადების მიუხედავად, ორგანიზაციას ნაწილობრივ მოაწოდა პასუხები შეკითხვებზე.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა ან გამოთხოვილი ინფორმაცია სრულყოფილი არ იყო, რის გამოც შესაბამის გარემოებებზე ინფორმაციას დოკუმენტი შეიძლება სრულად არ ასახავდეს ან ეყრდნობოდეს ძველ მონაცემებს. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის ფარგლებში არსებითად ფასდებოდა კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ამ პროცესში საჯარო უწყებების ჩართულობის მიუხედავად, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ცნობები სახელმწიფო უწყებებთან დადებული სხვადასხვა სახის შეთანხმების შესახებ, ხელმიუწვდომელი იყო მკვლევრებისთვის, კომერციული საიდუმლოების შემცველობის ან/და სხვა არგუმენტების გამო.

### ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული ზოგადი კონტექსტი

ჰიდროენერგეტიკის განვითარება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს, რის შესახებაც თანამდებობის პირების არაერთი განცხადებითა თუ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებზე დაფუძნებით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ.

სახელმწიფოს პოზიციის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგორესურსებს უკავია. საქართველოს ჰიდროპოტენციალის ეკონომიკურად გამართლებული ნაწილის დაახლოებით 20%-ია (2.8 ათას მგვტ-მდე) ათვისებული. ჰიდროენერგორესურსები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა გადანაწილებული. მათი 72% დასავლეთ საქართველოზე მოდის, ხოლო აღმოსავლეთზე – მხოლოდ 28%. ენერგეტიკული მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარეები ენგური, რიონი და მტკვარი, რომელთა აუზებშიც განლაგებულია არსებული ჰესების უმეტესობა. აქვე იგულისხმება დაგეგმილი ჰესების მნიშვნელოვანი ნაწილიც.<sup>5</sup>

მხოლოდ მდინარე ენგურის აუზში ჯამში 20-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება/მიმდინარეობს.<sup>6</sup>

	პროექტის დასახელება	მდინარე	დადგმული სიმძლავრე (MW)	კომპანია

<sup>5</sup> საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025“-ის პროექტი; გვ.14  
ხელმისაწვდომია: <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentiektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf>

<sup>6</sup> „ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები“ ტომი 10 კომულაციური ზემოქმედების შეფასება 2017 წ. ნოემბერი; გვ.13; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-10\\_ES-Nenskra\\_CIA\\_Nov2017\\_GEO.pdf](http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-10_ES-Nenskra_CIA_Nov2017_GEO.pdf)

1	ენგური	ენგური	1320	შპს „ენგურჰესი“ (სახელმწიფო)
2	ენგური 1	ენგური	5.5	არ არის განსაზღვრული
3	ენგური 2	ენგური	21.2	არ არის განსაზღვრული
4	ენგური 3	ენგური	12.1	არ არის განსაზღვრული
5	ენგური 4	ენგური	12.7	არ არის განსაზღვრული
6	ენგური 5	ენგური	129.2	Hydroenergy Corporation Ltd
7	ენგური 6	ენგური	50.6	Hydroenergy Corporation Ltd
8	ენგური 7	ენგური	173.6	Hydroenergy Corporation Ltd
9	ენგური 8	ენგური	150.3	Hydroenergy Corporation Ltd
10	ხუდონი	ენგური	750	„ტრანს ელექტრიკა“
11	კასლეთი 1	კასლეთი	8.1	„ჰიდრო ლეა“
12	კასლეთი 2	კასლეთი	8.1	„ჰიდრო ლეა“
13	დარჩი- ორმალეთი	დარჩი- ორმალეთი	16.9	„ჰიდრო ლეა“
14	დოღრა 3	დოღრა	30	Ahlatci Enerji Sanayi ve Ticaret Ltd Sti
15	მესტიაჭალა 1	მესტიაჭალა	23.7	სს „სვანეთი ჰიდრო“
16	მესტიაჭალა 2	მესტიაჭალა	27	სს „სვანეთი ჰიდრო“
17	ლახამი 1	ლახამი	6.4	Austrian Georgian Development
18	ლახამი 2	ლახამი	9.5	Austrian Georgian Development
19	იფარი	იფარი	3.2	შპს „აკვა ჰიდრო“
20	ხერლა	ხერლა	3.1	შპს „აკვა ჰიდრო“
21	ნაკრა 1	ნაკრა	8.8	შპს „აკვა ჰიდრო“
22	ნაკრა 2	ნაკრა	12.8	შპს „ეკოჰიდრო“



23	ნაკრა	ნაკრა	7.5	შპს „ეკოჰიდრო“
24	ტიტა	ტიტა	4.1	შპს „ტიტა ენერჯი“
25	ნენსკრა	ნაკრა-ნენსკრა	280	სს „ნენსკრა ჰიდრო“

მითითებული ჰესების მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადო გარემოსდაცვითი და ეკონომიკური კვლევების ანალიზის გარეშე განისაზღვრა და შესაბამისი ნებართვებიც ასევე გაიცა .

საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვიძლია, დავყოთ რამდენიმე კატეგორიად, რომლებიც, მათი სისტემური ხასიათიდან გამომდინარე, გვხვდება როგორც სვანეთში, ასევე სხვა რეგიონებში:

- **განახლებადი ენერჯეტიკის, მათ შორის ჰიდროენერჯეტიკის, განვითარების სისტემური მიდგომისა და სტრატეგიის არარსებობა;**

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ რამდენიმე წლის წინ მოამზადა „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025“. მითითებული დოკუმენტი საჯაროდ არ განუხილავთ, არ გაუვლია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება და არ დამტკიცებულა ნორმატიული აქტით, კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი დღესდღეობით მხოლოდ პროექტის სახით არის გამოქვეყნებული.<sup>7</sup>

შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, სახელმწიფოში არ არსებობს ენერჯეტიკის მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია ან/და გეგმა, რომელიც სისტემურად, ერთიანობაში განსაზღვრავდა ქვეყნის ჰიდრორესურსების განვითარების ხედვას/გზას და შესაბამის სტანდარტებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჰიდრორესურსების ათვისების ყველა ახალი მცდელობა ფრაგმენტულია და არ არის გამოკვლეული ქვეყნის ერთიანი ენერჯეტიკული თუ სხვა სახის საჭიროებების კონტექსტში.

- **ჰესების მშენებლობის დაგეგმვისა და კომპანიებთან წინასწარი შეთანხმების გაუმართავი და გაუმჭვირვალე პრაქტიკა;**

ხაზი უნდა გაესვას იმ მანკიერ პრაქტიკას, რა მეთოდებითაც ხორციელდება/მიმდინარეობს ახალი ჰიდროენერჯეტიკული პროექტების მშენებლობა. მთავრობა და ინვესტორი ჯერ კიდევ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა თუ სხვა სახის კვლევამდე დებს ურთიერთგარიგების მემორანდუმს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ჰესის ადგილმდებარეობას, მის სიმძლავრეს, ტექნიკურ მახასიათებლებს. ასევე წინასწარ დებენ შეთანხმებას სახელმწიფოს მიერ კონკრეტული კომპანიისგან ელექტროენერჯის გარკვეული ტარიფით სავალდებულოდ შესყიდვის თაობაზე, თუმცა უცნობია, რა კრიტერიუმზე დაყრდნობით განისაზღვრება

<sup>7</sup> საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებული „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025-ის“ პროექტი; გვ.14 ხელმისაწვდომია: <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf>

აღნიშნული ტარიფი. ამ ურთიერთობებს არც ერთი საკანონმდებლო აქტი არ აწესრიგებს. შესაბამისად, მსგავსი პროცედურები საჯარო მოხელეების მხრიდან თვითნებობისა და კორუფციის რისკს ქმნის. ამ რისკს კი კიდევ უფრო ზრდის, ხშირ შემთხვევაში, ამ შეთანხმებების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისა თუ სხვა არგუმენტით დახურვა, რაც მათ საჯარო კონტროლის მიღმა ტოვებს.<sup>8</sup> ასევე, მსგავსი მემორანდუმები და კონკრეტული კომპანიებისა თუ პროექტებისთვის სხვადასხვა სახის პრივილეგიის მინიჭება ეწინააღმდეგება ენერგოთანამეგობრობის წესებსა და მასთან დაკავშირებულ საქართველოს ვალდებულებებს.<sup>9</sup> ამასთანავე, ბიზნესის მარტივად წარმოების მიზნით, ხშირად შესაბამისი ნებართვა უხარისხო კვლევებისა და კანონის ფორმალურად შესასრულებლად წარმოებულ პროცედურებზე დაყრდნობით გაიცემა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა პროექტების ეკონომიკური ანალიზის განუხორციელებლობაა./ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროექტების ეკონომიკური ანალიზის არარსებობა. ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, არასოდეს არ არის დასაბუთებული, არ ხდება გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეპირისპირება, გარემოსდაცვითი, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით.

- პროექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული პირების არასათანადო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

იმის მიუხედავად, რომ როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც განსაზღვრულია გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა და მათი ინფორმირება, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მითითებული ვალდებულებების შესრულება ხშირად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მოსახლეობის დაინტერესებული ნაწილის ინფორმირების შემთხვევაში კი, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და არგუმენტები, უმნიშვნელო დეტალების გარდა, როგორც წესი, პროექტებზე არ აისახება.<sup>10</sup>

- გარემოსდაცვითი, ენერგეტიკისა და ჰიდროპროექტებისთვის რელევანტური საკანონმდებლო სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა, საუკეთესო საერთაშორისო

---

<sup>8</sup> მემორანდუმებთან დაკავშირებული დეტალური შეფასებები იხილეთ: The World Bank - Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements; February 22, 2018 ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/09/Assessment\\_of\\_HPP\\_Cost\\_2018.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/09/Assessment_of_HPP_Cost_2018.pdf)

„მწვანე ალტერნატივა“ – ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები, სამართლებრივი ანალიზი 2012;

ხელმისაწვდომია: [http://www.greenalt.org/webmill/data/file/legal\\_analysis\\_of\\_memorandums\\_agreements.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/legal_analysis_of_memorandums_agreements.pdf)

<sup>9</sup> იხ. ენერგოთანამეგობრობის შეფასება <https://www.energy-community.org/implementation/Georgia/RE.html?fbclid=IwAR1C5jisV6tNvTs793BRbNcAEBbY1pXc23LVc08dd1PJUEfxBpaLlxodZI>

<sup>10</sup> „მწვანე ალტერნატივა“: „საზოგადოების მონაწილეობა ენერგეტიკის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას“; ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/06/public\\_participation\\_energy\\_projects\\_policy\\_brief\\_GEO.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/06/public_participation_energy_projects_policy_brief_GEO.pdf)

**პრაქტიკის უგულვებელყოფა და საბჭოთა პერიოდის მოძველებული ნორმებით სარგებლობა;**

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემა, რომელიც ყველა მიმართულებით ვლინდება, სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობაა, რომელიც შეეხება როგორც უშუალოდ ენერგეტიკის, ასევე გარემოსდაცვით და სხვა სექტორებსაც. მაგალითად, დღეის მდგომარეობით საქართველოს არ გააჩნია განვითარების პროექტებთან მიმართებით მოსახლეობის იძულებითი განსახლების მარეგულირებელი სტანდარტები, რის გამოც, საუკეთესო შემთხვევებში, ინვესტორები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებზე დაყრდნობით მოქმედებენ. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ჰესების სამშენებლო, ტექნიკური თუ გარემოსდაცვითი სტანდარტების არარსებობა (მაგალითად, მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდიკა). ამ მხრივ, დადებითად უნდა შეფასდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი<sup>11</sup>, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პროცედურებსა და მასში საზოგადოების მონაწილეობას. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ენერგეტიკის მიმართულებით ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის დირექტივებსა და რეგულაციებთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზების ვალდებულების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პროგრესი არც ამ მიმართულებით არ არის.

- **ექსპლუატაციაში შესული ჰესების მიერ მინიმალური სტანდარტების, სანებართვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების შეუსრულებლობა და ამაზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება.**

ბოლო პერიოდში მედიაში არაერთი ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, პროექტირების ეტაპზე არასათანადო კვლევებით არის განპირობებული. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს შუახევიჰესი. ჰესის სამიდან ორი გვირაბი 2017 წლის აგვისტოში რამდენიმე ადგილას ჩამოიშალა კაშხლისა და გვირაბების წყლით შევსების შემდეგ, რის გამოც ჰესი დღემდე არ მუშაობს/მოქმედებს.<sup>12</sup> სათანადო პროექტირებასა და კვლევაზე ლეგიტიმური შეკითხვები ჩნდება ასევე სხვა ჰესებთან მიმართებითაც, მაგალითად, მეწყერში მოყოლილი ბახვი 3 ჰესი,<sup>13</sup> დატბორილი მესტიაჭალა

<sup>11</sup> გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი; მიღების თარიღი 01/06/2017; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2>

<sup>12</sup> იხ. რადიო თავისუფლების სტატია „რატომ არ მუშაობს 2 წლის წინ დასრულებული „შუახევიჰესი“ დღემდე?“ ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98---%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1/29903670.html>

<sup>13</sup> გურიაNews “ბახვი 3 ჰესი-ს ხელმძღვანელობა სიმძლავრის გაზრდაზე პასუხს ელოდება” ხელმისაწვდომია: <http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/7322>

1<sup>14</sup> მტკვარიჰესი, რომლის ტერიტორიაზეც მიწა მოულოდნელად ჩავარდა,<sup>15</sup> დევდორაკის მეწყერში მოყოლილი დარიალი და ლარსიჰესები,<sup>16</sup> კარნატიჰესის მიერ რამდენჯერმე დატბორილი მიმდებარე ტერიტორია<sup>17</sup> და ა.შ. მითითებულ პროექტებში არსებული ხარვეზები და მათზე ხელისუფლების არასათანადო რეაგირება საზოგადოებაში ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს ზოგადად ჰესების მშენებლობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

- **ენერგეტიკის სექტორში არსებული სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტები და ელიტური კორუფციის საფრთხე.**

სათანადო მყარი საკანონმდებლო ჩარჩოს და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმების არარსებობა დიდ თავისუფლებას აძლევს კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, პირად შეხედულებებსა თუ სხვა გარემოებებზე დაფუძნებით მიიღონ ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებების მიღების/აღნიშნული პროცესის გაუმჭვირვალე ხასიათი, ინვესტორებთან სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებების საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომლობა და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტებისთვის დაუსაბუთებლად მინიჭებული სხვადასხვა სახის პრივილეგია, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს მსგავს პროექტებთან მიმართებით არსებულ კორუფციულ რისკთან დაკავშირებით, ასევე, ზოგიერთ პროექტთან მიმართებით იკვეთება გადაწყვეტილების მიმღებ და ინვესტორი კომპანიის წარმომადგენელ პირებს შორის სხვადასხვა სახის კავშირი, რაც ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს წარმოშობს.<sup>18</sup>

აღნიშნული პრობლემების ფონზე ადგილობრივ მოსახლეობას/ძლიერი სოციალური წინააღმდეგობა უჩნდება არა მხოლოდ დიდი, არამედ ხშირ შემთხვევაში მცირე ჰესების მიმართაც, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესი ხარვეზები არსებული სისტემის შედეგად მიღებული ყველა პროექტის სანდოობასა და ხარისხს ეჭვქვეშ აყენებს.

### ჰესების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების კონტექსტში

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, განსაკუთრებით კი ამ მიმართულებით გაუაზრებელი პოლიტიკის მიმართ წინააღმდეგობა არ წარმოადგენს საქართველოს უნიკალურ გამოცდილებას და უკვე წლებია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია აქტიურად საუბრობს ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად გამოწვევებზე.

<sup>14</sup> Netgazeti: „მართებულია თუ არა მესტიაჰალა ჰესის სტიქიის შემაკავებლად განხილვა“; ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/383595/>

<sup>15</sup> „სამხრეთის კარიბჭე“: „სოფელ რუსთავში "მტკვარიჰესის" სამუშაო ტერიტორიის მახლობლად მიწა ჩავარდა“ ხელმისაწვდომია: <http://sknews.ge/index.php?newsid=23596>

<sup>16</sup> რადიო თავისუფლება: „მეწყერი დარილის ხეობაში“; ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/meckeridarialis-kheobashi/26543484.html>

<sup>17</sup> აჟარის ტელევიზია: „ჰესის მშენებლობის გამო მარადიდში ჭოროხი გზაზე გადმოვიდა“; ხელმისაწვდომია: <http://ajaratv.ge/article/38759>

<sup>18</sup> ვრცლად იხილეთ: „მწვანე ალტერნატივა“ „ენერგოპროექტები და კორუფცია საქართველოში, 2013“; ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/Energy\\_project.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/Energy_project.pdf) ასევე – „ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები, 2015“, ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/03/bunebrivi\\_resursebis\\_martva.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/03/bunebrivi_resursebis_martva.pdf)



ჯერ კიდევ 2000 წელს, კაშხლების მსოფლიო კომისიის (WCD) ანგარიშის თანახმად, დიდი კაშხლების/ჰესების უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოებაზე იმდენად ინტენსიურია (იძულებითი განსახლება, ტრადიციების დაკარგვა, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, ლანდშაფტისა და ადგილობრივი კლიმატის ცვლილება), რომ ისინი აღარ უნდა განიხილებოდეს განახლებად ენერჯიად.<sup>19</sup>

2019 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საუკუნეების განმავლობაში ევროპაში უამრავი მდინარე გაწყვიტეს და არსებითად შეუცვალეს სახე დაახლოებით 25000 ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის უზრუნველსაყოფად. ჯანმრთელი მდინარეები განაპირობებს მდინარეებში თევზის მარაგს და, შესაბამისად, საკვებს ასობით მილიონი ადამიანისთვის, ჩამოაქვს ნაშალი, რითაც სანაპირო ზოლს იცავს მზარდი ზღვის დონისგან, არბილებს უკიდურეს წყალდიდობებსა და გვალვას, იცავს ინფრასტრუქტურასა და მინდვრებს ეროზიისაგან და ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნებას. ხშირად კი მდინარეების ბუნებრივი დინების წყვეტა ასუსტებს ან მთლიანად აქრობს ამ უმნიშვნელოვანეს ეკოსისტემის სერვისებს.<sup>20</sup>

კვლევის თანახმად, ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 60 000 ჰესია და დამატებით 3700 ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს/იგეგმება. ძირითად შემთხვევებში ჰესები იგეგმება და შენდება ინდივიდუალური პროექტის დონეზე, რაც ართულებს მათი რეალური ზეგავლენის შეფასებას მდინარის მთლიან აუზსა თუ რეგიონზე.<sup>21</sup>

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებები გვხვდება უშუალოდ საქართველოს ენერჯეტიკის პოლიტიკის მიმართაც.

2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციისას და საქართველოს შესახებ რეზოლუციაში<sup>22</sup> ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის – ენერჯეტიკასა და გარემოს დაცვაზე; რეზოლუციით, ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკომისიას, დაეხმაროს და საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის გამიზნული საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისას; საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს კი მოუწოდა, დაიცვან ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. 2018 წლის 14 ნოემბერს ევროპარლამენტმა რეზოლუციით დაამტკიცა ანგარიში საქართველოსთან

<sup>19</sup> DAMS AND DEVELOPMENT A NEW FRAMEWORK THE REPORT OF THE WORLD COMMISSION ON DAMS. (WCD, 2000). ხელმისაწვდომია [https://www.internationalrivers.org/sites/default/files/attached-files/world\\_commission\\_on\\_dams\\_final\\_report.pdf](https://www.internationalrivers.org/sites/default/files/attached-files/world_commission_on_dams_final_report.pdf)

<sup>20</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.wwf.eu/?uNewsID=346762>

<sup>21</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.worldwildlife.org/press-releases/study-just-one-third-of-the-world-s-longest-rivers-remain-free-flowing>

<sup>22</sup> იხილეთ ბმული [European Parliament non-legislative resolution of 18 December 2014 on the draft Council decision on the conclusion, on behalf of the European Union, of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part \(09827/2014 – C8-0129/2014 – 2014/0086\(NLE\) – 2014/2816\(INI\)\)](#)

ასოციაციის ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ,<sup>23</sup> რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებზე. ევროპარლამენტმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ 2017 წლის ივნისში ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზმ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) დირექტივების მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. ამასთან, ევროპარლამენტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას:

- შეიმუშაოს ქმედითი ენერგეტიკული სტრატეგია. ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის ათვისებასა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;
- გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის დონე/ხარისხი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას;
- გააუმჯობესოს საქართველოს მიერ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხი.

ევროპარლამენტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს ჰიდროენერჯის შემდგომი განვითარება და აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მოსთხოვა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს ყველა ჰიდროენერგეტიკული პროექტის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, კერძოდ, გზმ-ის პროცესის გამჭვირვალობა, გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით.

ევროკავშირთან მიმართებით ასევე ხაზგასასმელია ენერგეტიკის მიმართულებით აღებული ის ვალდებულებები, რომელთა შესახებაც საქართველომ 2016 წელს „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“<sup>24</sup> ოქმს მოაწერა ხელი. ოქმის თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის მიმართულებით ევროკავშირის სტანდარტების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ჰესების მშენებლობის, ასევე სხვა ენერგეტიკული პროექტების ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორი უნდა გამხდარიყო.

იმის მიუხედავად, რომ გარკვეული მიმართულებით სტანდარტების, მათ შორის ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის, ენერგოეფექტურობისა და სხვა საკითხების<sup>24</sup> მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზება ჯერ კიდევ 2018 წლის 31 დეკემბრამდე უნდა განხორციელებულიყო, სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებზე საბოლოო დოკუმენტები ჯერჯერობით არ გვაქვს.

2018 წლის ბოლოს ენერგოეფექტურობის/ენერგოეფექტიანობის შესახებ შემუშავებული კანონის პროექტი მთავრობამ მოიწონა შენიშვნებით. ასევე, განახლდა

<sup>23</sup> European Parliament resolution of 14 November 2018 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)) <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2018-0457+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>

<sup>24</sup> დეტალურად იხ: „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმი: ხელმისაწვდომია: <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energetikuli%20Gaertianebeis%20Damfudznebel%20Khelshekrulebastansakart%20velos%20Sheertebis%20Shesakheb%20Okmi%201454%20geo.pdf>



ენერგოეფექტურობის/ენერგოეფექტიანობის სამოქმედო გეგმის პროექტი, მიმდინარე ცვლილებების ასახვის მიზნით.<sup>25</sup>

2019 წლის გაზაფხულზე საქართველოში ვიზიტისას ჰესების მშენებლობის საკითხს შეეხო ბიზნესისა და ადამიანის უფლებების გაეროს სამუშაო ჯგუფიც. აღნიშნული ჯგუფის განცხადებით, იმ პოლიტიკის ფარგლებში, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ენერგოდამოუკიდებლობა, საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო ჰიდროენერგეტიკის მიმართულების ინვესტირებას. სამუშაო ჯგუფი ხაზს უსვამს ხარვეზებს, რომლებიც არსებობს გარემოსა და სოციალური ზეგავლენის ძველ კვლევებში, ხოლო ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედება რამდენად შეძლებს ამ ხარვეზების აღმოფხვრას, დამატებით დაკვირვებას საჭიროებს.

სამუშაო ჯგუფი განსაკუთრებით აღნიშნავს ნენსკრაჰესის პროექტს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებთან შესაბამისობისთვის გატარებული დამატებითი ღონისძიებების მიუხედავად, პროექტი მაინც სადავოა. სხვა ჰესების პროექტების მსგავსად, სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ამ შემთხვევაშიც ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები მხოლოდ ფორმალურად წარიმართა/კონსულტაციებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე ჰესის პროექტი ერთდროულად ხორციელდება, არსებობს ლეგიტიმური შემფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ არასათანადო ყურადღება დაეთმო ამ პროექტების ერთობლივი, კუმულატიური ზეგავლენის შესწავლას გარემოზე.<sup>26</sup>

### ნენსკრაჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

ნენსკრაჰესი მესტიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 280 მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტია. აღნიშნული პროექტი ერთ-ერთია საქართველოს მთავრობის მიერ ზემო სვანეთში დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის ოცზე მეტი პროექტიდან, რომელთა განხორციელებაც, ხელისუფლების გაცხადებული პოზიციის თანახმად, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

„ნენსკრა ჰიდროს“ ვებგვერდის თანახმად, პროექტის მიზანს სვანეთის რეგიონში, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის აშენება წარმოადგენს. ჰიდროელექტროსადგური საქართველოს ყოველწლიურად 1'200.00 გიგავატ.სთ ელექტროენერგიით მოამარაგებს, რაც მთლიანად ადგილობრივ ბაზარს მოხმარდება. ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, ე.წ. BOT (Build-Operate-Transfer/ააშენე-აამუშავე-გადაეცი) სქემით ხორციელდება, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ ნენსკრაჰესი

<sup>25</sup> 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; გვ.32 ხელმისაწვდომია:

<http://www.mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/asocirebis-dgis-cesrigis-angarishebi/AA-NAP-2018-mokle-angarishebi-final.pdf.aspx>

<sup>26</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე

<https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=24474&LangID=E>

ექსპლუატაციაში გაშვებიდან 36 წელიწადში საქართველოს უსასყიდლოდ გადაეცემა საკუთრებაში.<sup>27</sup>

### განმახორციელებელი/შემსრულებელი კომპანია (ინვესტორი)

ნენსკრაჰესის მშენებლობის მიზნით შექმნილ იურიდიულ პირებს საჯარო რეესტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა სიაში ჯერ კიდევ 2011 წლიდან ვხვდებით.<sup>28</sup> 2011 წელს რეესტრირებული სს „ნენსკრას“ წესდების თანახმად, საზოგადოების ძირითადი მიმართულებები იყო სამშენებლო, კვლევითი და საინვესტიციო საქმიანობები.<sup>29</sup> 100% აქციების მფლობელი და დამფუძნებელი პარტნიორი სახელმწიფო საწარმო სს „ჯორჯიან რეილვეი ქონსტრაქშენი“ იყო, ხოლო მოგვიანებით უკვე კომპანია სს „საპარტნიორო ფონდს“ გადაეცა.<sup>30</sup> მითითებული იურიდიული პირის რეესტრაცია საჯარო რეესტრში დღემდე ფორმალურად აქტიურია, თუმცა პროექტს სრულიად სხვა იურიდიული პირი ასრულებს.

ნენსკრა-ჰესის პროექტს ამჟამად 2015 წელს რეესტრირებული კომპანია სს „ნენსკრა ჰიდრო“ ახორციელებს.<sup>31</sup> რეესტრაციის ეტაპისთვის კომპანიის აქციების 100%-იანი წილის ერთადერთი მფლობელი იყო კორეული სახელმწიფო წყლის კომპანია Korea Water Resources Corporation (შემდგომში K-Water).<sup>32</sup> წესდების თანახმად, კომპანიის ძირითად საქმიანობას მდინარე ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტირება, განვითარება, დაფინანსება, მშენებლობა, ოპერირების დაწყება, ფლობა, ოპერირება და შენარჩუნება წარმოადგენს, ხოლო საქმიანობის ძირითადი მიზანს – მოგება.<sup>33</sup> სახელმწიფოსთან დადებული პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას შეზღუდული აქვს სხვა არაპროფილური ბიზნესის წარმოება, რომელიც არ უკავშირდება პროექტს.<sup>34</sup>

მოგვიანებით, კომპანიაში ოფიციალურად ჩაერთო და აქციების თანამესაკუთრე გახდა სს „საპარტნიორო ფონდიც“, რომელიც სახელმწიფო საინვესტიციო ფონდია, 2011 წელს დაარსდა და სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე შეიქმნა. ფონდის საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: აქტივების მართვას და საინვესტიციო საქმიანობას.<sup>35</sup>

<sup>27</sup>სს „ნენსკრა ჰიდროს“ ვებგვერდი; ხელმისაწვდომია: <http://nenskra.ge/ceo/>

<sup>28</sup>სს „ნენსკრა“ (404408565) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; განაცხადის რეესტრაციის ნომერი: B11138017 ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/09/2011 19:04:04

<sup>29</sup> სს „ნენსკრას“ (ს/კ 404408565) წესდება; 1.7 პუნქტი; ხელმისაწვდომია განაცხადის რეესტრაციის ნომერი: B11138017 ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/09/2011 19:04:04

<sup>30</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 27 დეკემბრის 1-1/1745 ბრძანება;

<sup>31</sup> სს „ნენსკრას“ (ს/კ 405112220) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეესტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15159781, 05/08/2015 16:18:24

<sup>32</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2015 წლის წესდება.

<sup>33</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2015 წლის წესდების 3.1 და 3.2 პუნქტები;

<sup>34</sup> საიმპლემენტაციო ხელშეკრულების 3.4 (a) გვ. 25

<sup>35</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო – „საპარტნიორო ფონდის საქმიანობა მეტ გამჭვირვალობას საჭიროებს“ 25 აგვისტო, 2016; ხელმისაწვდომია: [https://www.transparency.ge/ge/post/report/sapartnioro-pondis-sakmianoba-met-gamchvirvalobas-sachiroebs/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D+%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98](https://www.transparency.ge/ge/post/report/sapartnioro-pondis-sakmianoba-met-gamchvirvalobas-sachiroebs/?custom_searched_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D+%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98)

დღეის მონაცემებით, სს „ნენსკრა ჰიდროს“ აქციათა 89.7% K-Water-ს ეკუთვნის, ხოლო 10.3% – სს „საპარტნიორო ფონდს.“ კომპანიის განთავსებული კაპიტალია 122 521 212 (ას ოცდაორი მილიონ ხუთას ოცდაერთი ათას ორას თორმეტი) აშშ დოლარი. 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი. შესაბამისად, სს „საპარტნიორო ფონდს კომპანიაში 12 625 695 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი ეკუთვნის, ხოლო K water-ს – 109 895 517.<sup>36</sup>

### პროექტის დაფინანსების წყარო

საწყის ეტაპზე საპარტნიორო ფონდის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ნენსკრაზე იგეგმებოდა 210 მგვტ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის პოტენციური გამოიმუშავება: 1.3 მლრდ კვტ/სთ იქნებოდა. ფონდის თანახმად, ამ მახასიათებლების პროექტის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 570 მლნ აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო.<sup>37</sup> თუმცა, საბოლოოდ, სახელმწიფომ ხელშეკრულება გააფორმა 280 მგვტ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც 1'200.00 გიგავატ.სთ ელექტროენერჯით მოამარაგებს ქვეყანას და რომლის საინვესტიციო ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია. უცნობია მიზეზი, თუ რამ განაპირობა პროექტის ღირებულების მსგავსი რადიკალური ზრდა დადგმული სიმძლავრის მხოლოდ 70 მგვტ-ით გაზრდის გათვალისწინებით.

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის მიერ გაცხადებული მონაცემების თანახმად, პროექტის ჯამური ღირებულება 1 მილიარდი აშშ დოლარია, თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა მსგავსი ფინანსური საჭიროების პროექტის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩართულობის გარეშე განხორციელება. შესაბამისად, პროექტის გაცხადების დღიდან დაფინანსების წყაროდ მოიაზრებოდა/მიიჩნეოდა/იგულისხმებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტიდან სესხის აღება.

ჯერ კიდევ 2014 წლის დასაწყისში საპარტნიორო ფონდმა ხელი მოაწერა შეთანხმებას მსოფლიო ბანკის შვილობილ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC), რომელიც ნენსკრა-ჰესის პროექტის სტრუქტურის შემუშავებაში, სახელშეკრულებო და ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებასა და ინვესტორებთან მოლაპარაკების პროცესში კონსულტაციის გაწევას, ინვესტორის წინადადების შეფასებას, გარიგების სამართლებრივი, კომერციული და ფინანსური სტრუქტურის მომზადებას ითვალისწინებდა.<sup>38</sup>

პროექტის განხორციელების თაობაზე სახელმწიფოს მიერ სს „ნენსკრა ჰიდროსთან“ ხელშეკრულების გაფორმებისა და 2015 წელს გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ კომპანიამ აკეთდა განაცხადი რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისადმი (სესხის გამცემებისადმი) / პროექტის განხორციელების შესახებ სახელმწიფოთან ხელშეკრულების გაფორმებისა და 2015 წელს გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ სს „ნენსკრა ჰიდროს“ განაცხადით მიმართა რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს

<sup>36</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ ფასიანი ქაღალდების რეესტრი; გაცემულია 2018 წლის 6 აგვისტოს; ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმოების მასალებში (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18083735, 08/08/2018 12:33:16)

<sup>37</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://fund.ge/site/news/321>

<sup>38</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://fund.ge/site/news/321>

(სესხის გამცემებს) პროექტის დასაფინანსებლად. კომპანიის მონაცემების თანახმად, 2016 წლის მაისში სესხის გამცემი იყო აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), კორეის განვითარების ბანკი (KDB) და კორეის ვაჭრობის დაზღვევის კორპორაცია (K-SURE).<sup>39</sup>

პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, ჰესის დაფინანსების გეგმა:

დაფინანსების წყარო	მილიონი აშშ დოლარი	%
<b>ჯამური ფასიანი ქაღალდები (Total Equity)</b>	<b>309.5</b>	<b>30%</b>
K Water (მოიცავს ასევე, EGR and Equity Bridge Loan-ს)	271.5	26.3%
სს „საპარტნიორო ფონდი“	23.0	2.2%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფასიანი ქაღალდების სესხი (EBRD Equity Loan)	15.0	1.5%
<b>სესხი უზრუნველყოფით</b>	<b>722.2</b>	<b>70%</b>
კორეის განვითარების ბანკი (KDB)	100.0	9.7%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	174.1	16.9%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	174.1	16.9%
ევროპის ინვესტირების ბანკი (EIB)	100.0	9.7%
SACE <sup>40</sup>	174.1	16.9%

<sup>39</sup> ნენსკრაჰესის პროექტი, დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები, მე-3 ტომი, სოციალური ზემოქმედების შეფასება; 2017 წლის ნოემბერი; გვ.9; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3\\_ES-Nenskra\\_Social-Impact-Assessment\\_Nov2017\\_GEO-1.pdf](http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3_ES-Nenskra_Social-Impact-Assessment_Nov2017_GEO-1.pdf)

<sup>40</sup> იტალიური საფინანსო ინსტიტუტი; დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.sacesimest.it/en/about-us>

სულ დაფინანსების წყარო (დღგ-ს გარეშე)	1031.7	100%
---------------------------------------	--------	------

იმის მიუხედავად, რომ პროექტს რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციამ გამოუცხადა მხარდაჭერა, ჯერჯერობით კომპანიას მათგან აღნიშნული თანხა არ მიუღია.

საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, დაფინანსებიდან მიღებული თანხა შემდეგი მიზნობრიობით გამოიყენება<sup>41</sup>:

დაფინანსების მიზნობრიობა	გამოყენების მილიონი აშშ დოლარი	%
პროექტის ინჟინერიის, შესყიდვისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორი	605.5	58.7%
სხვა კაპიტალური ხარჯი	195.5	19.0%
დაფინანსების ხარჯი	185.7	18%
ვალების მომსახურების სარეზერვო ანგარიშის დაფინანსება	35.5	3.4%
საბრუნავი საჭიროებები (Working Capital Need)	6.1	0.6%
მიწის გადასახადი	3.3	0.3%
<b>სულ (დღგ-ს გარეშე)</b>	<b>1,031.7</b>	<b>100%</b>

2018 წლის თებერვალში, რამდენჯერმე გადავადების შემდეგ, ევროპის საინვესტიციო ბანკმა (EIB) ნენსკრას 150 მილიონი აშშ დოლარის სესხი დაუმტკიცა,<sup>42</sup> თუმცა ამის შესახებ

<sup>41</sup> საიმპლემენტაციო ხელშეკრულება გვ. 93;

<sup>42</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://nenskra.ge/news/eib-%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1/>



ხელშეკრულება ჯერ ხელმოწერილი არ არის. ასევე, 2018 წლის იანვარში ნენსკრაჰესს EBRD-მა ჯამში 214 მილიონი აშშ დოლარის სესხი დაუმტკიცა<sup>43</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ სააქციო კაპიტალში კი 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია დაამტკიცა, თუმცა ბანკმა დაახლოებით 9 თვის მერე სესხის გაცემის პროცესი დროებით შეაჩერა.<sup>44</sup> 87,6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გამოყო კორეის განვითარების ბანკმაც (KDB). ამ ეტაპისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, სესხის გაცემის პროცესი ყველა ბანკს შეჩერებული აქვს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე პროექტის სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია.

### პროექტის მიმდინარეობა და EPC კონტრაქტორი

2018 წლის მარტის შემდეგ ნენსკრაჰესის პროექტზე ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს და ძირითადად მოსამზადებელ სამუშაოებზეა ორიენტირებული. სამშენებლო სამუშაოების მსგავსი პროცესის არსებითი განმაპირობებელი სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელი კომპანიის გასვლაა.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით სს „ნენსკრა ჰიდრომ“ პროექტის განხორციელების თავდაპირველ ეტაპზე ხელშეკრულება გააფორმებმა იტალიურ კომპანია „სალინი იმპრეჯილოსთან“ (Salini Impregilo).

იმის მიუხედავად, რომ პროექტის შემსრულებელი კომპანია სს „ნენსკრა ჰიდრო“ მხოლოდ 2015 წლის აგვისტოში დაფუძნდა, კონტრაქტორი კომპანია პროექტისთვის ჯერ კიდევ შესაბამისი იურიდიული პირის დაფუძნებამდე 2015 წლის ივლისში შეირჩა,<sup>45</sup> ნენსკრა ჰესის მშენებლობაზე გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის ფარგლებში. პრეტენდენტთა შორის იყვნენ მსოფლიოში ცნობილი ევროპული, კორეული და თურქული კომპანიები. იტალიურ კომპანია Salini Impregilo-ზე არჩევანი მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაში მრავალწლიანი გამოცდილების გამო შეჩერდა. მის პორტფელში შედიოდა 240-მდე ჰიდროელექტროსადგური.

იტალიურმა მშენებელმა კომპანიამ ნენსკრა ჰესის პროექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე წელიწადში, 2018 წელს დატოვა. იმის მიუხედავად, რომ 2018 წლის გაზაფხულის შემდგომ სამშენებლო სამუშაოები შეჩერებული იყო, კომპანიის მიერ პროექტის დატოვება ოფიციალურად მხოლოდ რამდენიმე თვეში, 2018 წლის ოქტომბერში გახდა ცნობილი. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „სალინი იმპრეჯილოსთან“ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებით შეწყდა<sup>46</sup>, ასევე, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიურმა კომპანიამ პროექტი ჭუბერში ადგილობრივ მოსახლეობასთან

<sup>43</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/nenskra-hpp.html>

<sup>44</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.facebook.com/1stchannel/videos/2239154589491490/>

<sup>45</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე

<http://mfa.gov.ge/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-2015/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98.aspx>

<sup>46</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://1tv.ge/news/nenskra-hidro-hesis-samsheneblo-samushao-noembershi-ganakhleba/>



მომხდარი ინციდენტის გამო დატოვა,<sup>47</sup> თუმცა უცნობია იტალიური კომპანიის პროექტიდან გასვლისა და ხელშეკრულების შეწყვეტის რეალური მიზეზი.

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მედიაში ინფორმაციის გავრცელებიდან მალევე, 2018 წლის ნოემბერში, სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე, მათ შორის EBRD-ის ვებგვერდზე, გამოჩნდა განცხადება ნენსკრაჰესის პროექტზე, სადაც კომპანია წინარე კვალიფიკაციისთვის იწვევდა კომპანიებს, პროექტის ინჟინერიის, შესყიდვისა და მშენებლობისთვის (Engineering, Procurement and Construction (EPC) კონტრაქტორის მოძიების მიზნით.<sup>48</sup>

განაცხადის თანახმად, სავარაუდო კონტრაქტორების წინარესაკვალიფიკაციო განაცხადების მიღება უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 6 დეკემბერს,<sup>49</sup> თუმცა სავარაუდოდ იმ მიზეზით, რომ მოკლე პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორის მოძიება ვერ მოხერხდა, განაცხადების მიღების ვადა დაახლოებით 1 წლით, 2019 წლის 1 ნოემბრამდე გახანგრძლივდა<sup>50</sup>, რაც, სავარაუდოდ, იმას გულისხმობს, რომ პროექტზე სამშენებლო სამუშაოები 2020 წლამდე შეჩერდება.

ახალი EPC კონტრაქტორის მოძიების პროცესზე ინფორმაციის მოწოდების თხოვნით მივმართეთ უშუალოდ სს „ნენსკრა ჰიდროსაც“, რომელმაც განაცხადა, რომ კვლევის ფარგლებში მოძიებული ინფორმაცია სავარაუდო კონტრაქტორების განაცხადების 2019 წლის 1 ნოემბრამდე მიღების თაობაზე არ შეესაბამება სინამდვილეს და ამჟამად მიმდინარეობს EPC კონტრაქტორის მოძიების სატენდერო პროცედურები, თუმცა კომპანიას EMC-ისთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია ტენდერის მიმდინარეობის ან/და სავარაუდო ვადების შესახებ.

#### გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

ნენსკრაჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოს ზემოქმედების ანგარიში შპს „გამა კონსალტინგმა“, 2011 და 2014 წლებში წარმოებული საველე კვლევების მასალებზე დაყრდნობითა და შემდგომ, 2015 წლის მაისში გამართული საჯარო კონსულტაციების მასალების მიხედვით მოამზადა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

<sup>47</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე [http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/05/Issue\\_Paper\\_new\\_Nenskra\\_2019.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/05/Issue_Paper_new_Nenskra_2019.pdf)

<sup>48</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ebrd.com/cs/Satellite?c=Content&cid=1395277850144&d=Mobile&pagename=EBRD%2FContent%2FContentLayout>. განაცხადის თანახმად, ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მდინარე ნენსკრაზე, ასფალტის გულით 130 მეტრის სიმაღლის ქვანაყარი კაშხლის, 15 კმ. სიგრძის ბეტონის წყალგამტარი გვირაბის, 1.8 კ.მ სიგრძის ფოლადის სადაწნეო შახტის, დადგმული სიმძლავრით 280 მგ ღია ტიპის ელექტროსადგურის, მდინარე ნაკრაზე 9 მეტრი სიმაღლის ბეტონის წყალმიმღები კაშხლის, მდინარე ნაკრას წყალმიმღები კაშხლისა და ნენსკრას წყალსაცავის დამაკავშირებელი 12.5 კმ. სიგრძის სადერივაციო გვირაბის კონსტრუქციული და დეტალური დიზაინის მომზადება, შესყიდვები, მშენებლობა, ყველა დამხმარე და სხვა სახის სამუშაოები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ebrd.com/cs/Satellite?c=Content&cid=1395277850144&d=Mobile&pagename=EBRD%2FContent%2FContentLayout>

<sup>49</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://ted.europa.eu/udl?uri=TED:NOTICE:497902-2018:TEXT:EN:HTML&tabId=1>

<sup>50</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ebrd.com/work-with-us/procurement/p-pn-181101b.html>

მინისტრის მიერ მითითებულ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2015 წლის ოქტომბერში გაიცა.<sup>51</sup>

თუმცა მას შემდეგ, რაც რამდენიმე საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა ინტერესი გამოთქვა პროექტის დაფინანსების თაობაზე, მათთვის არადადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ შეთანხმებული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ფარგლებში წარმოებული კვლევა და კრედიტორებმა თავიანთ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დამატებით მოითხოვეს გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევის ჩატარება.

ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევის შედეგებმა ნენსკრაჰესის საპროექტო ცვლილებებიც განაპირობა. აღნიშნული ცვლილებების შესათანხმებლად კომპანიამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წელს მიმართა სკრინინგის განცხადებით.<sup>52</sup> სკრინინგის ანგარიშზე დაინტერესებული პირების მიერ შენიშვნებისა და შესაბამისი განხილვის პარალელურად 2019 წლის 28 იანვარს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი ქობულიამ სს „ნენსკრა ჰიდროსთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.<sup>53</sup>

EMC-იმ კვლევის ფარგლებში რამდენჯერმე მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მითითებული მემორანდუმის ასლის მიღებისა და მისი შინაარსის გაცნობის მიზნით, თუმცა ყველა ეს მოთხოვნა სამინისტროს მხრიდან უპასუხოდ დარჩა.

კომპანიასთან მითითებული მემორანდუმის გაფორმებიდან რამდენიმე დღეში, 2019 წლის 4 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო სკრინინგის გადაწყვეტილება<sup>54</sup> და ნენსკრაჰესის განახლებული პროექტი, მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დოკუმენტის – გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის მომზადების ვალდებულებებისგან გაათავისუფლა. ამ გადაწყვეტილებით, პროექტში არსებითი ხასიათის ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებების მიუხედავად, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი საფრთხეების შესაფასებლად საკმარისად ჩაითვალა 2015 წელს მომზადებული გზშ-ის ანგარიში.

ნენსკრაჰესის პარამეტრების ცვლილების გარდა, 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად შეიცვალა საპროექტო არეალისა და მთლიანად ჭუბერის

<sup>51</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/daskvna.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/daskvna.pdf)

<sup>52</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/JSCNenskraHydro/ScreeningApplication.pdf>

<sup>53</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.economy.ge/?page=news&nw=1016&s=giorgi-qobuliam-ss-nenskra-hidrostan-urtiertanamshromlobis-memorandumi-gaaforma>

<sup>54</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/10955>

ხეობის არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოც, რაც სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე სათანადოდ არ განუხილავს.<sup>55</sup>

### ნენსკრაჰესის საგადასახადო შენატანი

ჰესების მშენებლობის სარგებლობაზე/სარგებლიანობაზე საუბრისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი ადგილობრივ თუ ცენტრალურ ბიუჯეტში საგადასახადო შენატანი განიხილება, რამაც ადგილობრივ ბიუჯეტში მეტი ფინანსური რესურსის აკუმულირება და ადგილობრივი მოსახლეობის სოციოეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენა უნდა უზრუნველყოს.

ნენსკრაჰესის 2015 წელს შეთანხმებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, „ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე როგორც ცენტრალური ბიუჯეტი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტი მიიღებს დამატებით შემოსავლებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხება ქონების გადასახადი (ჰესის კომუნიკაციების საბალანსო ღირებულების 1%) და მიწის გადასახადი (დაახლოებით 380 ჰა), რაც წელიწადში 10-12 მილიონ ლარზე ნაკლები არ იქნება. აღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას მოახდენს მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.“<sup>56</sup>

ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადების აკუმულირების ძირითად რესურსს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომელიც ერთადერთი ადგილობრივი გადასახადია.<sup>57</sup> შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც ნენსკრაჰესის პროექტიდან გადასახადის მოხვედრის ძირითადი მექანიზმი სწორედ კომპანიის მიერ ქონების გადასახადის გადახდა უნდა ყოფილიყო, რასაც არსებითად უნდა შეეწყო ხელი ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდისთვის, თვითმმართველობის განვითარებისა და რეალური დეცენტრალიზაციისთვის.

თუმცა, კომპანიის მიერ გზშ-ში გაწერილი ვალდებულებების საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობას, კომპანიას, ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციულ ოპერატორს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს „საპარტნიორო ფონდს“ შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად (რომელშიც დამატებითი ცვლილებები 2017 წლის 16 ივნისს შევიდა), საგადასახადო მიზნებისთვის ობიექტი აღიარებულია არამატერიალურ აქტივად, პროექტის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. არამატერიალური აქტივი-ობიექტი მოიცავს ქონებას, სადგურს,

<sup>55</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე [http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/02/Nenskra\\_Comments\\_January\\_2019.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/02/Nenskra_Comments_January_2019.pdf)

<sup>56</sup> გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (გზშ) 2015 წ. გვ.86; 6.13.2.6 წვლილი ეკონომიკაში ხელმისაწვდომია [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/gzsh2.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/gzsh2.pdf)

<sup>57</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი მე-6 მუხლის, მე-6 ნაწილი; ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=150>

აღჭურვილობასა და ხელშეკრულებით გაწერილ უფლებებს.<sup>58</sup> ობიექტის არამატერიალურ აქტივად აღიარება კომპანიის მიერ ქონების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების მცდელობას უნდა წარმოადგენდეს, რაც კომპანიის შემოსავლების სამსახურთან შემდგომი კომუნიკაციითაც დასტურდება.

კომპანიამ 2016 წელს სხვადასხვა საგადასახადო საკითხის მოწესრიგების მიზნით, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თხოვნით მიმართა შემოსავლების სამსახურს, რომელთაგან ერთ-ერთი საკითხი სწორედ ქონების გადასახადის გადახდას შეეხებოდა. კერძოდ კი, „იმის გათვალისწინებით, რომ ჰიდროელექტროსადგური (შემდგომში - „ობიექტი“ ან „ჰესი“) მშენებლობის პროცესში და მშენებლობის დასრულების შემდეგ კომპანიის შეზღუდულ საკუთრებაშია, ვინაიდან: (ა) საქართველოს მთავრობა არეგულირებს ობიექტის ოპერირების არსებით წესებსა და პირობებს; (ბ) საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, პირდაპირ მიიღოს „ობიექტი“ ან კომპანიის აქციები „საიმპლემენტაციო ხელშეკრულების“ ვადის დასრულების შემდგომ და (გ) კომპანია ან/და მისი აქციონერები ვალდებული არიან, გადასცენ „ობიექტი“ ან კომპანიის აქციები „გამოყენების ვადის“ დასრულების შემდეგ, „ობიექტი“, რომელიც შედგება საკუთრების, სადგურის, მოწყობილობა-აღჭურვილობისა და „უფლებისაგან“, რომლებიც საჭიროა და თავისი არსით გამიზნულია „ობიექტის“/„ჰესის“ პროექტირების, მშენებლობისა და ოპერირებისთვის, ფინანსური აღრიცხვისა და საგადასახადო მიზნებისთვის განიხილება თუ არა, როგორც ერთი მთლიანი არამატერიალური აქტივი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული არამატერიალური აქტივი – „ობიექტი“ ექვემდებარება თუ არა ქონების გადასახადით დაბეგვრას.<sup>59</sup>

მითითებული განმარტების მიუხედავად, შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭომაც და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომაც მიიჩნია, რომ „საგადასახადო მიზნებისათვის, კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწაზე შექმნილი მატერიალური აქტივები ვერ იქნება განხილული არამატერიალურ აქტივად. ამდენად, წინამდებარე წინასწარი გადაწყვეტილებით, განსახილველი ოპერაციის ფარგლებში, სს „ნენსკრა ჰიდრო“ წარმოადგენს ქონების გადასახადის გადამხდელს მის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ აქტივებზე“<sup>60</sup>

მითითებული გადაწყვეტილებების შემდგომ, 2017 წლის 16 ივნისს კომპანიასთან დადებულ საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ქონების გადასახადის გადახდასაც შეეხო. ცვლილებების თანახმად, 2016 წლის 28 აპრილს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ მიიღო საგადასახადო გადაწყვეტილება, რომლითაც საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის საწინააღმდეგოდ, პროექტი მიიჩნია მატერიალურ აქტივად და, შესაბამისად, დაუქვემდებარა ქონების გადასახადს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ გადასახადების მოწესრიგება

<sup>58</sup> IMPLEMENTATION AGREEMENT FOR THE NENSKRA HYDROELECTRIC PROJECT DATED 31 AUGUST 2015 AMENDED AND RESTATED 16.06.2017 SCHEDULE4 TAX IMPLICATIONS, გვ. 103 პარაგრაფი N4 <http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/06/contract.pdf>

<sup>59</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 26.01.2017 გადაწყვეტილება; საჩივარი No12972/2/16;

<sup>60</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 26.01.2017 გადაწყვეტილება; საჩივარი No12972/2/16;

შეიცვალა და კომპანია უფლებამოსილი იქნება, საქართველოს მთავრობისგან უკან დაიბრუნოს, გადასახადის ცვლილებიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ გადახდილი თანხა.<sup>61</sup>

ხელშეკრულებაში მითითებული გარემოებების საპირისპიროდ, კომპანია კვლევის ფარგლებში მოწოდებულ ინფორმაციაში მიუთითებს, რომ სს „ნენსკრა ჰიდრო“ წარმოადგენს ქონების გადამხდელ სუბიექტს და მისი საგადასახადო წვლილი ბოლო 3 წლის განმავლობაში შემდეგნაირია:

- 2016 წელს – 1525824.52 ლარი;
- 2017 წელს – 2230884.30 ლარი;
- 2018 წელს – 3286678.29 ლარი; ბოლო 3 წელიწადში კომპანიის მიერ გადახდილმა ქონების გადასახადმა ჯამში 7 043 387.11 ლარი შეადგინა.<sup>62</sup>

მედიამი გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის საგადასახადო შენატანს მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ძირითადად სკოლამდელ აღზრდასა და სტუდენტებისა და სპორტსმენების დაფინანსებაზე იყენებს.<sup>63</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კვლევის ფარგლებში კომპანიას წერილობით ვთხოვეთ ინფორმაცია როგორც ქონების გადასახადის გადახდასა და ოდენობასთან დაკავშირებით, ასევე იმის თაობაზეც, აღნიშნულის სანაცვლოდ კომპანიამ საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერების შესაბამისად მიიღო თუ არა საქართველოს მთავრობისგან ან/და სხვა უწყებისგან შესაბამისი/სათანადო ანაზღაურება ან/და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები (მაგალითად, ტარიფის გაზრდა და ა.შ), თუმცა, სამწუხაროდ, კომპანიამ აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი არ გაგვცა. შესაბამისად, უცნობია, რამდენად ხორციელდება/სრულდება პრაქტიკაში ხელშეკრულების იმ ჩანაწერების იმპლემენტაცია, რომელიც ქონების გადასახადის გადახდის სანაცვლოდ კომპანიისთვის გარკვეული ბენეფიტების მინიჭებას ითვალისწინებს.

### ხუდონჰესის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

ხუდონჰესის პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურის ზედა ნაწილში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლიდან 34 კმ დაშორებით ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტი მოიცავს თაღვანი კაშხლის, მიწისქვეშა ელექტროსადგურის, წყალსაგდებების, წყალმიმღებებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობას. დადგმული სიმძლავრეა 702 მვტ, ელექტროენერჯის წლიური გამომუშავებით 1,5 მლრდ. კვტ/სთ.

<sup>61</sup> IMPLEMENTATION AGREEMENT FOR THE NENSKRA HYDROELECTRIC PROJECT DATED 31 AUGUST 2015 AMENDED AND RESTATED 16.06.2017 SCHEDULE4 TAX IMPLICATIONS, გვ. 100 პარაგრაფი N4.3 Acknowledgement of a Change in Tax ხელმისაწვდომია ბმულზე <http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/06/contract.pdf>

<sup>62</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 16.07.2019 წლის წერილი;

<sup>63</sup> <https://www.interpressnews.ge/ka/article/554827-mestiis-meri-nenskra-hidros-gadasaxadebis-saxit-adgilobriv-biujetshi-daaxloebit-8-milioni-lari-akvs-gadaxdili>



ხუდონჰესის პროექტის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს განიხილებოდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობამ და საბჭოთა კავშირში მიმდინარე სხვა გეოპოლიტიკურმა მოძრაობებმა პროექტის შეჩერება განაპირობა.<sup>64</sup>

პროექტის მშენებლობის საკითხი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მმართველობის პირობებში კიდევ ერთხელ გააქტიურდა. 2005 წელს მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა ტექნიკური დახმარების გრანტი, 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ხუდონჰესის პროექტზე სხვადასხვა სახის კვლევას ითვალისწინებდა.<sup>65</sup>

პროექტის მშენებლობის საკითხზე მსჯელობა უკვე 2007 წლიდან დაიწყო. 2007 წელს სახელმწიფოსა და ბელიზში (ოფშორული ზონა) რეგისტრირებულ კომპანია Continental Energy LTD-ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. 2010 წელს Continental Energy LTD-მ მიმართა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს თხოვნით, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გადასცემოდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანია Trans Electrica Limited-ს. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა Continental Energy LTD-ს თხოვნა, იმ პირობით, რომ Trans Electrica Limited- სრულად და უცვლელად იკისრებდა მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას.<sup>66</sup> საბოლოოდ, 2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობამ და ინვესტორმა კომპანიამ „Trans Electrica“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროექტის განხორციელების შესახებ.<sup>67</sup>

#### განმახორციელებელი/შემსრულებელი კომპანია (ინვესტორი)

ხუდონჰესის პროექტის განხორციელების მიზნით დაფუძნდა შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია.“<sup>68</sup> კომპანიას ორი ქართველი და ორი ინდოელი დირექტორი ჰყავს. შპს-ს 100% წილის მესაკუთრეა ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული, 2008 წლის 2 მაისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი“. კომპანიის ვებგვერდის თანახმად, უშუალოდ ინვესტორი კომპანია – „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი“ შეიქმნა სპეციალურად ხუდონჰესის პროექტის ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით და მოღვაწეობს ჰიდროენერჯეტიკული პროექტების პროექტირების – კვლევის, , ექსპლუატაციისა და მართვის სფეროში.<sup>69</sup>

<sup>64</sup> ჰესის საპროექტო წინადადება დამტკიცდა 1978 წლის 31 აგვისტოს, სსრკ ენერჯეტიკის სამინისტროს №110 დადგენილებით, თუმცა მშენებლობა 1988 წელს შეჩერდა.

<sup>65</sup> <http://www.transelectrica.ge/khudoni.php?id=2>

<sup>66</sup> „მწვანე ალტერნატივის“ პოზიცია ხუდონჰესის პროექტის შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმების აუცილებლობის თაობაზე; ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/02/GA\\_POSITION\\_on\\_termination\\_of\\_Khudoni\\_HPP\\_agreement\\_19\\_February\\_2015\\_GEO.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/02/GA_POSITION_on_termination_of_Khudoni_HPP_agreement_19_February_2015_GEO.pdf)

<sup>67</sup> 2011 წლის 28 აპრილის შეთანხმება, საქართველოს მთავრობას, შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედსა“ და სხვათა შორის. ხელმისაწვდომია:


<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Khudonis%20Hidroelektrosadguri%2043%20geo.pdf>

<sup>68</sup> შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ ს/კ 404857650 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი; განაცხადის ნომერი: 38461 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10031540 ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/03/2010 15:53:31

<sup>69</sup> „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ვებგვერდი <http://www.transelectrica.ge/about.php>



კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის“ წილის მესაკუთრეები შემდეგნაირად გამოიყურებიან:<sup>70</sup>



აღსანიშნავია, რომ მითითებული კომპანიის მესაკუთრეების, მათი საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ იძებნება.

SGGS INFRASTRUCTURE LIMITED – აღნიშნული კომპანია რეგისტრირებულია 2011 წლის 29 ივლისს კუნძულ ჯერსიზე. უცნობია ინფორმაცია მისი მესაკუთრეების შესახებ. /თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპანია მხოლოდ ხუდონჰესის შესახებ მემორანდუმის გაფორმების შემდეგ დარეგისტრირდა, ასევე არარელევანტური იქნება მის გამოცდილებაზე საუბარიც.

World Energy Limited – ინფორმაცია არ იძებნება არც მეორე თანამესაკუთრესთან დაკავშირებით. დიდი ბრიტანეთის რეესტრის მონაცემებით, 2000 წლის 8 მაისს ზუსტად ასეთი სახელის მქონე კომპანია მართლაც დარეგისტრირდა, თუმცა 2003 წლის 11 თებერვალს მოხდა აღნიშნული კომპანიის ლიკვიდაცია.<sup>71</sup> ინფორმაცია სხვა ასეთი სახელის მქონე კომპანიაზე არ იძებნება. შესაბამისად უცნობია, „ტრანსელექტრიკის“ მეწილეს ლიკვიდირებული კომპანია წარმოადგენს თუ არა.

Olney Assets s.a – მითითებული კომპანია 2010 წლის 24 სექტემბერს პანამაში რეგისტრირებულ კომპანიას წარმოადგენს.<sup>72</sup> ისიც, სხვა მეწილის მსგავსად, მას შემდეგ დაფუძნდა, რაც ხუდონჰესზე ხელშეკრულება უკვე დადებული იყო. შესაბამისად, ასევე არავალიდური იქნებოდა აღნიშნული კომპანიის გამოცდილებაზე საუბარი. კომპანიის დირექტორია პანამის მოქალაქე, რომელიც პარალელურად პანამაში რეგისტრირებული რამდენიმე ათეული კომპანიის დირექტორია, ხოლო წარსულში 200-ზე მეტი კომპანიის დირექტორის თანამდებობა ეკავა.<sup>73</sup>

<sup>70</sup> „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ვებგვერდი <http://www.transelectrica.ge/about.php?id=2>

<sup>71</sup>მწვანე ალტერნატივა: „ხუდონჰესის მომავალი მშენებელი-მმართველი-მფლობელი „ტრანსელექტრიკას“ იდუმალი აქციონერები“; ხელმისაწვდომია:

<https://greenalt.org/news/%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C/>

<sup>72</sup> The Open Database Of The Corporate World; ხელმისაწვდომია: <https://opencorporates.com/companies/pa/713419>

<sup>73</sup>OFFSHORE LEAKS DATABASE by The International Consortium of Investigative Journalists ; ხელმისაწვდომია <https://offshoreleaks.icij.org/nodes/22728>;

იმის მიუხედავად, რომ არც საჯარო რეესტრის მონაცემებსა და არც სხვა ოფიციალურ ბაზებში მსგავსი გარემოება არ დასტურდება, კომპანიის ვებგვერდზე მითითებულია, რომ „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ პარტნიორი და აქციონერია ინდური კომპანია „კონტინენტალ კონსტრაქციონ კორპორაცია“, რომლის აქტივშია კონსტრუირებისა და მშენებლობის სფეროში მოღვაწეობის 50 წელზე მეტხნაიანი გამოცდილება.<sup>74</sup> „კონტინენტალ კონსტრაქციონ კორპორაციასა“ და შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ერთი და იგივე დირექტორი, მოჰინდერ კუმარ ვერმა, უფიქსირდებათ,<sup>75</sup> თუმცა, როგორც აღინიშნა, მითითებული კომპანიის პროექტში ოფიციალური მონაწილეობა ხელმისაწვდომი სამართლებრივი დოკუმენტებით არ დასტურდება.

შესაბამისად, სრულიად უცნობია რეალური ინვესტორის ვინაობა, მისი ინტერესები, გამოცდილება და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

### პროექტის მიმდინარეობა და სტატუსი

პროექტის თაობაზე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ჰესის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე განცხადებით შესაბამისი უწყებისთვის 2012 წლის 28 აპრილამდე უნდა მიემართა, ხოლო სამშენებლო სამუშაოები ნებართვის მიღებიდან 60 თვეში დაესრულებინა.<sup>76</sup> მოგვიანებით, ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა და ნებართვისთვის მიმართვის ვადა 2012 წლის 1 სექტემბრამდე გადაიწია,<sup>77</sup> თუმცა ვერც მითითებულ ვადაში მოასწრო კომპანიამ ნებართვის მოპოვებაზე განცხადების შეტანა, რის გამოც ხელშეკრულებაში კიდევ ერთხელ შევიდა ცვლილება – სახელმწიფო კომპანიის მიმართ 2013 წლის 1 მაისამდე არ გამოიყენებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს, მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით.<sup>78</sup> ვალდებულება ვერც მითითებულ ვადაში შესრულდა და მან კიდევ ერთხელ, 2014 წლის 1 მარტამდე გადაიწია.<sup>79</sup> საბოლოოდ, 2015 წლის სექტემბერში შეტანილი ცვლილების თანახმად, ხელშეკრულებიდან საერთოდ ამოიღეს მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა და მის ნაცვლად განისაზღვრა, რომ სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს ნებართვის მოპოვებიდან 60 დღის ვადაში.<sup>80</sup> აღნიშნულის პარალელურად, ხელშეკრულებაში გაჩნდა ვალდებულება, რომ ინვესტორს 2017 წლის 1 აგვისტომდე მოეწერა ხელი შესაბამის EPC (Engineering Procurement Construction) კონტრაქტორთან.<sup>81</sup>

<sup>74</sup> შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ვებგვერდი; ხელმისაწვდომია: <http://www.transelectrica.ge/projects.php>

<sup>75</sup> Continental Construction-ის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <http://cccprn.com/directors.htm>

<sup>76</sup> Agreement Between The Government of Georgia, Trans Electrica Limited (BVI), Trans Electrica Georgia LTD, Energotrans LTD, And Electricity System Commercial Operator LTD Date: April 28, 2011; Article 3.3 <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Khudonis%20Hidroelektrosadguri%2043%20geo.pdf>

<sup>77</sup> 2012 წლის 23 მაისის ცვლილებები ხელშეკრულებაში; ხელმისაწვდომია:

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Tsviileba23052012%2044%20geo.pdf>

<sup>78</sup> 2013 წლის 4 თებერვლის დამატება ხელშეკრულებაში; ხელმისაწვდომია:

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Damateba04022013%2045%20geo.pdf>

<sup>79</sup> 2013 წლის 28 მაისის ცვლილება ხელშეკრულებაში; ხელმისაწვდომია:

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Tsviileba%2028052013%2046%20geo.pdf>

<sup>80</sup> 2015 წლის 9 სექტემბრის ცვლილება ხელშეკრულებაში; ხელმისაწვდომია:

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Shetankhmeba%2009092015%201169%20geo.pdf>

<sup>81</sup> იქვე;

თუმცა კომპანიას პროექტის თაობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მშენებლობის ნებართვა დღემდე არ მოუპოვებია, შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები პროექტზე არ დაწყებულა.

2014 წელს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ, განაცხადა რომ, თუ კომპანია „ტრანს ელექტრიკა“ ენერჯეტიკის სამინისტროს საბანკო გარანტიას და დამფუძნებლების შესახებ ინფორმაციას არ მიაწვდიდა, შეიძლებოდა, „ხუდონჰესის“ პროექტის განხორციელება სახელმწიფოს დაეწყო.<sup>82</sup>

აღნიშნულის შესახებ ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ მოგვიანებით, 2017 წელსაც განაცხადა, „ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ინვესტორთან. გვაქვს შეთავაზება, რომ პროექტი წამოიღოს სახელმწიფომ. ჰესი აუცილებლად უნდა აშენდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.“ ენერჯეტიკის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედთან“ მოლაპარაკება მითითებულ განცხადებამდე ერთი თვით ადრე იყო დაწყებული და რამდენიმე თვეში დასრულდებოდა, ხოლო პროექტს სახელმწიფო, სავარაუდოდ, ერთი წლის თავზე გადაიბარებდა. ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებით, ინვესტორს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემული 1400 ჰა მიწის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაც მოუწევდა.<sup>83</sup>

თუმცა, სავარაუდოდ, მითითებული მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა, რამდენადაც პროექტი დღემდე დაკონსერვებულია და ამავე დროს, დღემდე „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ საკუთრებაში რჩება სახელმწიფოს მიერ კომპანიისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემული მიწა, რომელზეც მოქცეულია ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო მიწები, საჯარო სკოლის ტერიტორია და სხვა საჯარო სივრცეები.

ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ინვესტორ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის დავა მიმდინარეობს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალში, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არც ერთი ოფიციალური წყაროთი არ დასტურდება. მსგავსი დავის არსებობის შესახებ ინფორმაციის გადასამოწმებლად კვლევის ფარგლებში მივმართეთ სხვადასხვა საჯარო უწყებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია პროექტთან მიმართებით არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დავასთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული ინფორმაცია არ მოუწვდია სხვა სახის საერთაშორისო თუ ადგილობრივი დავის არსებობის თაობაზე.

სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შორის დავის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დაიწყოს საარბიტრაჟო დავა, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით გადაწყვეტს საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი

---

<sup>82</sup>„ნეტგაზეთი“: „ხუდონჰესის“ პროექტი, შესაძლოა, სახელმწიფომ განხორციელოს“ ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/business/35621/>

<sup>83</sup>Jam News „მთავრობა აპირებს მილიარდიანი ხუდონჰესი თავად ააშენოს. რატომ?“ ხელმისაწვდომია: <https://jam-news.net/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93/?lang=ka>

(International Centre for Settlement of Investment Disputes (ICSID)), რომელიც მდებარეობს შვეიცარიაში, ჟენევაში.<sup>84</sup>

დღეის მდგომარეობით, პროექტი ფაქტობრივად დაკონსერვებულია, უცნობია, ოფიციალურად რა სტატუსი აქვს ამჟამად პროექტსა თუ უშუალოდ ინვესტორ კომპანიას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კვლავ კომპანიის საკუთრებაში რჩება მისთვის სიმბოლურად გადაცემული უძრავი ქონება, ადგილობრივ მოსახლეობას ისევ პრობლემები ექმნება მათი ქონებისა და საჯარო სივრცეების პროექტის არეალში მოქცევის გამო.

#### გარემოზე ზემოქმედების შეფასება

შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიამ“ მესტიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2012 წელს მიმართა. გზშ-ის ანგარიში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა – CENN-მა მოამზადა.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიში მოიცავდა კვლევას ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციისა და ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზის ახალი მონაკვეთის მშენებლობის ზეგავლენის შესახებ, მათ შორის, კაშხლის მშენებლობის, წყალსაცავის განთავსების, ინერტული მასალების კარიერის შერჩევის, სოფელ ჭუბერთან გზის მშენებლობისა და მოსახლეობის განსახლების შესახებ.

2013 წლის 1 აპრილს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თხოვნით, პროექტის გზშ-ის ანგარიშის შესწავლის მიზნით მოიწვიეს ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისია (NCEA – Netherlands Commission on Environmental Assessment).

კომისიამ რამდენიმე თვეში გამოაქვეყნა შეფასება, რომლის თანახმადაც, სამინისტროს არსებული მონაცემებით არ შეეძლო, გადაწყვეტილება მიეღო პროექტთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ შეიცავდა არსებითი მნიშვნელობის საკითხებს, განსაკუთრებით კი ინფორმაციას:

- კომპენსაციასთან, განსახლებასა და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების თაობაზე.
- მდინარის სედიმენტების მოზღვაება და წყალსაცავთან დაკავშირებული გეოლოგიური რისკი.
- სეისმური რისკი.
- ხარჯისა და სარგებლის ფართო/ვრცელი ანალიზი საქართველოსთვის.<sup>85</sup>

---

<sup>84</sup> Agreement Between The Government of Georgia, Trans Electrica Limited (BVI), Trans Electrica Georgia LTD, Energotrans LTD, And Electricity System Commercial Operator LTD Date: April 28, 2011; Article 14.3 <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Khudonis%20Hidroelektrosadguri%2043%20geo.pdf>

<sup>85</sup> Netherland Commission for Environmental Assessment „Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project“ 3 June 2013; ხელმისაწვდომია: [https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013\\_final\\_advice.pdf](https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013_final_advice.pdf)

კომისიის გარდა, პროექტთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა/რეკომენდაცია ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობას, სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, თუმცა შენიშვნების მიღების შემდგომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ აღარ მოუმართავს, შესაბამისად, დღემდე „მდ. ენგურზე 702 მგვტ სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა/გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და ამის გამო არც მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც პროექტის ფარგლებში მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შეთანხმება სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მომხდარა და შესაბამისად არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი, მითითებული დოკუმენტის დეტალურად შესწავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

### ჰესების მშენებლობის უფლებრივი ზეგავლენა

#### ჰესების ზეგავლენა საკუთრების უფლებასა და საჯარო რესურსებით სარგებლობაზე

დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლუატაციის, სოციალური ზეგავლენის შესწავლის ეტაპზე ერთ-ერთი არსებითი საკითხი პროექტის კერძო საკუთრებასა და საჯარო რესურსებით სარგებლობის წვდომაზე ზეგავლენის შეფასებაა.

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ზემო სვანეთი საკმაოდ მცირემიწიანია – მისი საერთო ფართობია 3045 კვ.კმ., რომლის მხოლოდ 6.7% შეადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. ეს უკანასკნელი კი შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: სახნავ-სათესი მიწები (7%), სათიბი მიწები (9%) და საძოვრები (84%).<sup>86</sup>

რეგიონის მცირემიწიანობიდან გამომდინარე, არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ადგილობრივი მოსახლეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობასა და ტყის რესურსებით სარგებლობაზე მოდის.

ხშირ შემთხვევაში საპროექტო არეალში მოქცეულ ტერიტორიებს კერძო საკუთრების მიღმა ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად, შეშის მოსაპოვებლად, ველური ხილის შესაგროვებლად და სხვა დანიშნულებით იყენებს ხოლმე. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი აღნიშნულ რესურსებზე წვდომა ადგილობრივ მოსახლეობას დროებით ან ხშირ შემთხვევაში სამუდამოდ ეკარგება. ასევე ცალკე გამოწვევად დგას საპროექტო არეალში მოქცეული კერძო საკუთრების სანაცვლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან მოლაპარაკების პროცესი, კომპენსაცია, განსახლების გეგმა და სხვა მასთან დაკავშირებული პროცედურები.

<sup>86</sup> „საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა დაბა მესტიის მაგალითზე“ ; საია, მწვანე ალტერნატივა, TI, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია; 2011 წ. გვ.9; ხელმისაწვდომია [https://www.transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Report\\_Mestia\\_GEO\\_fJuly%202011\\_0.pdf](https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Report_Mestia_GEO_fJuly%202011_0.pdf)



აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს სახელმწიფოს მიერ სვანეთში არსებული ტრადიციული საკუთრების სამართლებრივი უღიარებლობა და განვითარებასთან დაკავშირებით განსახლების პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა.

ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ნაწილობრივ შეეხება მითითებულ საკითხს, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონია, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულად აწესრიგებს განსახლების საკითხს და მთელ რიგ თემებს შესაბამისი სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე ტოვებს.

ერთ-ერთი ასეთი საკითხი არარეგისტრირებული ქონების სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების თემაა. იმის მიუხედავად, რომ სვანი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ფლობს მიწის ნაკვეთებს, რომლებიც თემის/გვარის საკუთრებას წარმოადგენდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე თავდაპირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ტრადიციული საკუთრების ფორმების უარყოფისა და სათანადო უფლების დამდგენი დოკუმენტების არშექმნის/არარსებობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე ვერ ახერხებს თავიანთი ტრადიციული საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასა და საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევას.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობა კონკრეტული ინვესტორის კეთილსინდისიერების ან/და პროექტში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების იმედად რჩება, რომლებიც პროექტში საკუთარი პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტირებით ადგილობრივ მოსახლეობას ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოზე უკეთეს შესაძლებლობებს სთავაზობენ, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი შიდა სამართლებრივი გარანტიების არარსებობის პირობებში ადგილობრივ მოსახლეობას პროცესების ეფექტიანი კონტროლისა და დავის შესაძლებლობაც ერთმევა.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მონაცემების თანახმად, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ხაიშში, ნაკრასა და ჭუბერში, რომლებიც მითითებული ჰიდროელექტროსადგურების ძირითად საპროექტო არეალში არიან მოქცეულნი, სახელმწიფოს საკუთრებაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზაში ოფიციალურად რეგისტრირებულია 12 579 178 კვ.მ მიწის ფართობი, რომლის მთლიანი ფართობის ნახევარი, დაახლოებით 6 269 061 კვ.მ. აღნაგობის უფლებით აქვს გადაცემული სს „ნენსკრა ჰიდროს“, სახელმწიფოს საკუთრების ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი, 1 123 964 კვ.მ. აღნაგობის უფლებით გადაცემული აქვს ხუდონჰესის ინვესტორ კომპანიას შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“.<sup>87</sup>

შესაბამისად, პროექტების მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, ასევე მასშტაბურია პროექტებისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული რესურსებიც.

### *ნენსკრაჰესის ზეგავლენა საკუთრების უფლებაზე*

საკუთრების უფლებასა და მიწის რესურსებით სარგებლობაზე პროექტის ზეგავლენის სრულიად განსხვავებულ სურათს ხატავს 2015 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კომპანიის მიერ შემდგომში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თხოვნით

<sup>87</sup> სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის 17 ივნისის N 1 4 / 3 6 0 0 5 წერილი;



წარმოებული დამატებითი კვლევები, რაც გზშ-ის მომზადების ეტაპზე რეალური ზემოქმედების არასათანადოდ შესწავლითა და მისი უფრო დაბალ სტანდარტებზე დაფუძნებით უნდა იყოს განპირობებული.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის თანახმად, „პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ძირითადი ნაწილი განთავსებულია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებზე და მოსახლეობისათვის წარმოადგენს საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებს (პირუტყვის მოვება, შემის მოპოვება, ტყის პროდუქტების შეგროვება და სხვა).“<sup>88</sup> სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდგომ მოხდება სამშენებლო მოედნებისათვის გამოყენებული ტერიტორიების რეკულტივაცია და მუდმივად დაიკარგება მხოლოდ ჰესის კომუნიკაციების განთავსების ადგილები, მათ შორის წყალსაცავების წყლით დასაფარი მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორია (≈3.8 კმ<sup>2</sup>).<sup>89</sup> იმის მიუხედავად, რომ თავად აღნიშნული დოკუმენტითვე არის აღიარებული ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ტყისა და მიწის რესურსებით ინტენსიური სარგებლობა, გზშ-ში ამ რესურსებზე წვდომის მუდმივი გაქრობა უმნიშვნელო ზეგავლენად არის შეფასებული. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული აღნიშნული უარყოფითი ზეგავლენის სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არც ერთი სიტყვა არ გვხვდება ზემო სვანეთში და უმუალოდ საპროექტო არეალში მოქცეულ თემებში არსებულ ტრადიციული საკუთრების ფორმაზე, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა თაობების განმავლობაში სარგებლობს სათემო მიწის ნაკვეთებითა და ტყეებით. აღნიშნულის ერთ-ერთი განმაპირობებელი დოკუმენტის მხრიდან სვანი მოსახლეობის სპეციფიკური წეს-ჩვეულებების უგულებელყოფა უნდა იყოს.

სავარაუდოდ, სწორედ გზშ-ის ანგარიშის მიერ ტრადიციული საკუთრების არაღიარებამ განაპირობა ასეთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობა 2015 წელს სახელმწიფოს მიერ შეთანხმებულ ანგარიშსა და დღეს კომპანიის მიერ გატარებულ პოლიტიკას შორის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „პროექტის გავლენის ზონის ფარგლებში მოქცეულია კერძო მფლობელობაში არსებული მხოლოდ 4 მიწის ნაკვეთი, რომლებიც განთავსებულია ძალური კვანძის სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეულ ტერიტორიაზე. ნაკვეთების შესყიდვა მოხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის პროცედურის შესაბამისად.“<sup>90</sup>

თუმცა უკვე 2017 წელს კომპანიის მიერ მომზადებული დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების თანახმად, პროექტის განხორციელების ეტაპზე „დაახლოებით 89

<sup>88</sup> „ნენსკრაჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ II ტომი; 2015 წ. გვ. 84 6.13.2.3 მიწის საკუთრება და გამოყენება; ელექტრონულად ხელმისაწვდომია: [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/gzsh2.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/gzsh2.pdf)

<sup>89</sup> „ნენსკრაჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ II ტომი; 2015 წ. გვ. 83 6.13.2.2 რესურსების ხელმისაწვდომობა; ელექტრონულად ხელმისაწვდომია: [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/gzsh2.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/gzsh2.pdf)

<sup>90</sup> „ნენსკრაჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ II ტომი; 2015 წ. გვ. 84 6.13.2.3 მიწის საკუთრება და გამოყენება; ელექტრონულად ხელმისაწვდომია: [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/gzsh2.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/gzsh2.pdf)

ოჯახი მოხვდება ზემოქმედების ქვეშ მიწის, არასაცხოვრებელი ნაგებობების, ხეების, ნათესების დაკარგვის გამო. მათგან 29 ოჯახი მოწყვლადია, მათ შორის 10 ოჯახის უფროსი ქალია. ჯამში ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები დაკარგავენ 44,43ა მიწას, 14 ხის ქოხს, ღობეებს, 1288 ხეს, 0.13ა სიმინდს და 0.13ა კარტოფილს. ზემოქმედების ქვეშ მოხვდება 3 სამოვარი, კერძოდ ქვემო მემული და მაჩლიჭალა ნენსკრას კაშხლის და რეზერვუარის ადგილას და ლაგირი – ნაკრას წყალამდების ადგილას.<sup>91</sup>

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისგან განსხვავებით, დღესდღეობით კომპანია აღიარებს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული საკუთრების ფორმას და პროექტის ზეგავლენას აღნიშნული მიწის ნაკვეთებზე. კვლევის ფარგლებში კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციისა და სუბიექტების განსაზღვრისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტანდარტებზე დაყრდნობით.

კომპანიის მიერ უძრავი ნივთების გაცვლის ნაცვლად მოსახლეობისთვის ფულად კომპენსაციას მიენიჭა პრიორიტეტი რამდენიმე არგუმენტის გათვალისწინებით. პირველ რიგში, აღნიშნული განპირობებული იყო უშუალოდ ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის სურვილით. ასევე, მცირემიწიანობიდან გამომდინარე, სახნავ-სათესად ვარგისი მიწების უმეტესობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან უკვე გამოიყენება. შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სანაცვლო უძრავი ნივთების გადაცემა.<sup>92</sup>

კომპანია გამოყოფს სამ კატეგორიას, რომელთაც საკუთრების სანაცვლოდ შეუძლიათ, ისარგებლონ კომპენსაციით ან/და საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამით:

1. პირები, რომელთაც სრულად ან ნაწილობრივ აქვთ სამართლებრივი უფლებები.
2. პირები, რომლებმაც სრულად ან ნაწილობრივ დაკარგეს მიწა, რომელსაც ისინი იკავებდნენ და სარგებლობდნენ და რომელზეც მათ არ ჰქონდათ ოფიციალური, სამართლებრივი უფლებები, მაგრამ ჰქონდათ ეროვნული კანონმდებლობის მიერ ამგვარ მიწებზე აღიარებული უფლება ან იმგვარი უფლება, რომლის აღიარებაც შესაძლებელია;
3. პირები, რომლებმაც სრულად ან ნაწილობრივ დაკარგეს მიწა, რომელსაც ისინი იკავებდნენ და სარგებლობდნენ და რომლებსაც ამ მიწებზე არც ოფიციალური, სამართლებრივი უფლებები აქვთ და არც აღიარებული ან იმგვარი პრეტენზიები, რომელთაც აღიარებაც შესაძლებელია;<sup>93</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ კომპანია ერთმანეთისგან მიჯნავს უძრავ ნივთებს, რომელზეც საკუთრების უფლებაც ადგილობრივ მოსახლეობას საჯარო რეესტრში აქვს რეგისტრირებული (I კატეგორია), უძრავი ნივთები, რომლებიც

<sup>91</sup> ნენსკრაჰესის პროექტი დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები მე-3 ტომი სოციალური ზემოქმედების შეფასება, 2017 წ. გვ.141 ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3\\_ES-Nenskra\\_Social-Impact-Assessment\\_Nov2017\\_GEO-1.pdf](http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3_ES-Nenskra_Social-Impact-Assessment_Nov2017_GEO-1.pdf)

<sup>92</sup> Nenskra Hydropower Project Supplementary Environmental & Social Studies Volume 9 Land Acquisition & Livelihood Restoration Plan; November 2017 გვ.78; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9\\_ES-Nenskra\\_LALRP\\_Nov-2017.pdf](http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9_ES-Nenskra_LALRP_Nov-2017.pdf)

<sup>93</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2019 წლის 2 ივლისის წერილი;

საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, თუმცა მოსახლეობას აქვს უფლების დამდგენი დოკუმენტი (II კატეგორია) და ტრადიციული საკუთრება, რომელზეც მოსახლეობას არანაირი უფლების დამდგენი დოკუმენტი არ გააჩნია (III კატეგორია);

კომპანიის მონაცემების თანახმად, 2019 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ადგილობრივი მოსახლეობისგან პროექტის მიზნებისთვის გამოსყიდულია 47 უძრავი ნივთი, ჯამური ფართობით 38,5 ჰექტარი. აღნიშნული უძრავი ნივთებიდან 45 მიწის ნაკვეთი (ჯამური ფართობით 36.7 ჰა) გამოსყიდეს III კატეგორიაში მოქცეული მოსახლეობისგან, ანუ იმ პირებისგან, რომელთაც მიწის ნაკვეთებზეც არ გააჩნდათ არანაირი უფლების დამდგენი დოკუმენტი.<sup>94</sup>

კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, „პროექტი მოქმედებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკით. ის აღიარებს ადგილობრივების მიერ მიწის ტრადიციულ მფლობელობას. შესაბამისად, მიწის იმ მესაკუთრეებსაც ვუხდით კომპენსაციას, რომლებსაც მიწა რეგისტრირებული არ აქვთ და არც რაიმე დოკუმენტი მიწის მფლობელობის დასადასტურებლად.“<sup>95</sup>

შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტის არარსებობისას კომპანია კომპენსაციის გასაცემად ეყრდნობა შემდგომი დოკუმენტების ერთობლიობას:

- საკომპენსაციო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა წერილობით დასტურს/თანხმობას;
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ უძრავ ქონებაზე ტრადიციული ფაქტის წერილობით დასტურს.<sup>96</sup>

2017 წელს კომპანიის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისგან დამოუკიდებლად მომზადდა მიწის შექმნისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, რომელშიც განხილულია პროექტის ფარგლებში მოქცეული უძრავი ნივთების გამოსყიდვის, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აღნიშნულის ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.<sup>97</sup>

<sup>94</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2019 წლის 2 ივლისის წერილი;

<sup>95</sup> ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.bm.ge/ka/article/nenskra-hidrom-nenskras-xeobashi-mcxovreb-46-ojaks-kompensaciis-saxit-35-milioni-lari-gadauxada-/36332>

<sup>96</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2019 წლის 2 ივლისის წერილი;

<sup>97</sup> ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გარემოს და სოციალური სფეროს დამატებითი კვლევები ტომი 9 მიწის შექმნისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა; 2017 წლის ნოემბერი <http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9-ES-Nenskra-LALRP-Nov-2017-GEO.pdf>

ცხრილი 20 პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვის ზემოქმედების შეჯამება

მონაკვეთი/ნაგებობა <sup>ა</sup>	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რაოდენობა	დაუცველი საოჯახო მეურნეობების რ-ბა	საოჯახო მეურნეობების რ-ბა, რომლებსაც ქალები უმღებენ	მიწის გამოყენების სახეობები <sup>ბ</sup>	დაზიანებული ინფრასტრუქტურა (კა)	დაზარალებული მოსახლეობის მიერ დაკარგული მიწა	დაკარგული ნაგებობები	დაკარგული ხეები	ერთწლიანი კულტურების დანაკარგი
ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი	25	5	2	F / P	---	131 (სამოვარი+ტყე)	13 ხის ფაცხა, ლობე	--	0.1 ჰა კარტოფილი;
ჰიდროელექტრო-სადგური	5	---	---	A / F	---	33.4	ლობები, 1 საქონლის სადგომი, 1 სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს	1,118	0.01 ჰა სიმინდი
პერსონალის სოფელი	1	---	---	F	---	2.5	--	--	--
ნენსკრას გზა	35 <sup>ა</sup>	14 <sup>ა</sup>	6	A	---	4.5	ლობის 37 მონაკვეთი + ხის ორი ფარდული	170	--
ნაკრას გზის, სადერივაციო გვირაბის წყალმიმღები	27	11	2	F / P	1 ხიდი	32.6 (სამოვარი+ტყე)	1 ლობე, ქვის 1 კედელი, ხის 1 ფაცხა	--	--
სულ	89	29	10	A / F / P	1 ხიდი			1,288	0.1 ჰა კარტოფილი; 0.01 ჰა სიმინდი

<sup>ა</sup> მოიცავს 4 დაზარალებულ საოჯახო მეურნეობას, რომლებიც აგრეთვე პროექტის ერთ-ერთი სხვა კომპონენტით ზარალდება

<sup>ბ</sup> A: სახნავ-სათესი F: ტყე P: სამოვარი R: საცხოვრებელი

<sup>ა</sup> 35 და 110 კვ-იანი ელექტრო ხაზები, ნაკრამდე მისასვლელის გზის სარემონტო სამუშაოები, ნარჩენების განთავსების ადგილები არ არის ასახული აქ (იხ. თავი 4.3.2.).

<sup>ა</sup> მოიცავს 1 დაზარალებულ საოჯახო მეურნეობას, რომლებიც აგრეთვე პროექტის ერთ-ერთი სხვა კომპონენტით ზარალდება

კომპანიის მიერ მითითებული მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ ადგილობრივ მოსახლეობას კომპენსაციის სახით გადაუხადეს ჯამში 3 509 029 (სამი მილიონ ხუთას ცხრა ათას ოცდაცხრა) ლარი<sup>98</sup>, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის 1 კვადრატული მეტრი მიწის სანაცვლოდ, საშუალოდ, დაახლოებით 9 ლარის გადახდას გულისხმობს.

თითოეულ უძრავ ნივთზე გადასახდელი საკომპენსაციო თანხის რაოდენობა გამოითვლება სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც დაფუძნებულია უძრავი ნივთის სხვადასხვა მახასიათებელზე. მიწა: მიწის სრული ღირებულება განისაზღვრა ადგილობრივ ბაზარზე არსებული ტარიფების (მესტიის მუნიციპალიტეტში) გათვალისწინებით და ტრანზაქციისთვის საჭირო ხარჯის დამატებით. სახლები, დამხმარე ნაგებობები და შენობები: სახლების, ხის ფაცხის, დამხმარე ნაგებობისა და ლობეების სრული ღირებულება განისაზღვრება ნაგებობის ტიპის, მასალის ღირებულების, ტრანსპორტირების, მშენებლობის ტიპის, მიწის მომზადების, მუშახელისა და სხვა სამშენებლო ხარჯის მიმდინარე ფასებზე დაყრდნობით. მარცვლეული: მარცვლეული ფასდება მოსავლის ორ სეზონს შორის შუა პერიოდში დაკარგული მოსავლის ადგილობრივ საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. ხეები: სრული ღირებულება ხეებისთვის დაფუძნებულია განსხვავებულ მეთოდზე ტყის ხეებისა და ხეხილისთვის. ტყის ხეების შეფასება დაფუძნდა მათი ზრდის კატეგორიას და ხის მასალის ღირებულებას იმ ასაკის ხისთვის, რომელ ასაკშიც ის მოიჭრება. ხეხილის ხეების კომპენსაცია განსხვავებულია ნაყოფიერი და უნაყოფო ხეებისთვის. ნაყოფიერი ხეები ანაზღაურდება იმ მომავალ შემოსავალზე დაყრდნობით, რომელიც იკარგება ხის ხელახლა გასაზრდელად იმავე ასაკამდე აუცილებელი წლებისა და მოჭრილი ხის ნაყოფიერების პოტენციალის გათვალისწინებით.

<sup>98</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2019 წლის 2 ივლისის წერილი;

უნაყოფო ხეები ანაზღაურდება იმ ინვესტიციის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია ხის გასაზრდელად იმ ასაკამდე, როდესაც ის მოიჭრა.<sup>99</sup>

2017 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, პროექტის ფარგლებში, მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროების აღდგენისთვის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 9,906,673 ლარს (3,950,114 აშშ დოლარი \$1 = GEL 2.52 გაცვლითი კურსით, სადაც 3,711,956 ლარი ანუ 37% მიწის შესყიდვისათვის გათვალისწინებული კომპენსაციაა).<sup>100</sup>

პროექტის იმპლემენტაციის ეტაპზე არსებობდა გარკვეული კრიტიკა პროექტის მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმასთან, არსებული მონაცემების არასწორ/არასრულ ასახვასთან, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მოწყვლადი სტატუსის არმინიჭებასთან/მიუნიჭებლობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით<sup>101</sup>, თუმცა აღნიშნული ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი დოკუმენტში/პრაქტიკაში აისახა, ხოლო თავად პროცესი განგრძობადი ხასიათისაა. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის შეუძლებელია მითითებული პროცესის სრულყოფილი შეფასება.

### ნენსკრაჰესის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მიწის რესურსი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფომ ვალდებულია აიღოს, კომპანიისთვის გადაეცემა პროექტისთვის საჭირო უძრავი ქონება.

სახელმწიფომ კომპანიას უძრავი ნივთები რამდენჯერმე, კომპანიისთვის სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული ტერიტორიის სიმბოლურ ფასად – 1 დოლარად პრივატიზების ან აღნაგობის უფლებით გადასცა . კომპანიისთვის გადაცემული უძრავი ნივთების დიდი ნაწილი სოფელ ჭუბერსა და ნაკრაში მდებარეობს.

კომპანიისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის ქრონოლოგია:

გადაცემის თარიღი	სამართლებრივი ფორმა	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	ფართობი (კვ.მ.)
------------------	---------------------	----------------------------	-----------------

<sup>99</sup> ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გარემოს და სოციალური სფეროს დამატებითი კვლევები ტომი 9 მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა 2017 წლის ნოემბერი; გვ. 107; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9\\_ES-Nenskra\\_LALRP\\_Nov-2017\\_GEO.pdf](http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9_ES-Nenskra_LALRP_Nov-2017_GEO.pdf)

<sup>100</sup> ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი გარემოს და სოციალური სფეროს დამატებითი კვლევები ტომი 9 მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა 2017 წლის ნოემბერი; გვ. 174; ხელმისაწვდომია: [http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9\\_ES-Nenskra\\_LALRP\\_Nov-2017\\_GEO.pdf](http://nenskra.ge/file/2017/04/Vol-9_ES-Nenskra_LALRP_Nov-2017_GEO.pdf)

<sup>101</sup> ვრცლად იხილეთ CEE Bankwatch; Green Alternative Failing local communities Report on the Land Assessment and Livelihoods Restoration Plan for the Nenskra Hydropower Project; ხელმისაწვდომია: <https://bankwatch.org/wp-content/uploads/2017/09/Nenskra-LALRP-11Sep2017.pdf>



2019 წლის აპრილი <sup>102</sup>	8	აღნაგობის უფლება, 55 წლის ვადით	4	221831
2019 წლის აპრილი <sup>103</sup>	8	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	2	310
2018 წლის 27 მარტი <sup>104</sup>		აღნაგობის უფლება, 7 წლის ვადით	1	7420
2018 წლის მარტი <sup>105</sup>	27	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	1	8100
2018 წლის თებერვალი <sup>106</sup>	15	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	16	399594
2018 წლის თებერვალი	15	აღნაგობის უფლება, 55 წლის ვადით	4	43193
2017 წლის 14 მარტი და 22 ივნისი <sup>107</sup>		პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	6	975214

<sup>102</sup> საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 აპრილის განკარგულება N709; ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/524\\_71131\\_906229\\_796.pdf](http://gov.ge/files/524_71131_906229_796.pdf)

<sup>103</sup> იქვე;

<sup>104</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის განკარგულება N662; ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/495\\_66248\\_859897\\_662.pdf](http://gov.ge/files/495_66248_859897_662.pdf)

<sup>105</sup> იქვე;

<sup>106</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის განკარგულება N364; ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/495\\_65642\\_971412\\_364.pdf](http://gov.ge/files/495_65642_971412_364.pdf)

<sup>107</sup> EMC-ისთვის გაურკვეველი მიზნით, საქართველოს მთავრობას სხვადასხვა პერიოდში კომპანიისთვის ერთი და იმავე უძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემაზე იდენტური შინაარსის ორი განკარგულება აქვს გამოცემული; საქართველოს მთავრობის განკარგულება № 492 2017 წლის 14 მარტი; ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3612505?publication=0>;

საქართველოს მთავრობის განკარგულება №1247 2017 წლის 22 ივნისი „სააქციო საზოგადოება „ნენსკრა ჰიდროსათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3714493?publication=0>

2016	წლის	7	აღნაგობის უფლება, წლის ვადით	55	8	5993974
2016	წლის	13	აღნაგობის უფლება, წლის ვადით	55	8	3944371
			<b>ჯამში</b>		50	11 594 007 კვ.მ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებზე დაფუძნებით/დაყრდნობით, კომპანიას სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით საკუთრების/აღნაგობის უფლებით გადაეცა ჯამში 1159 ჰა-ზე მეტი.<sup>110</sup>

### *ხუდონჰესის ზეგავლენა საკუთრებასა და მოსახლეობის განსახლებაზე*

ხუდონჰესის საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, ხუდონჰესის კომპლექსის გავლენას დაქვემდებარებული ტერიტორიების არეალში ხვდება მესტიის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები: ხაიშის თემიდან – ხაიში, იდლიანი, სკორმეთი, ლალხორალი, ტობარი, ლუხი, ქვედა წვირმინდი, ნაკი, დაკარი, შგედი, ლაჯრა, გაღმა ხაიში და ციცხვარი.). გარდა ამისა, საპროექტო არეალში ექცევა სოფ. ლახანი, ჭუბერის თემიდან.

საპროექტო არეალის საერთო ფართობს წარმოადგენს 1,538 ჰა, საიდანაც დატბორვის ფართობია 528 ჰა. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევის თანახმად, საპროექტო არეალში მოქცეული 154.1 ჰა კერძო საკუთრებას წარმოადგენს (12.64 ჰა რეგისტრირებული, ხოლო 141.46 ჰა დაურეგისტრირებელი), 1381. 98 ჰა კი – მუნიციპალურ/სახელმწიფო საკუთრებას.<sup>111</sup>

საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, ხაიშის, გაღმა ხაიშის, დაკარისა და ტობარის განსახლება იგეგმებოდა სრულად, დანარჩენი დასახლებებიდან – მხოლოდ რამდენიმე სახლის განსახლება. პროექტის არეალში ხვდება 14 დასახლება, რომელთაგან ზემოქმედება ვრცელდება 224 საცხოვრებელ სახლსა და მიმდებარე დამხმარე შენობა-ნაგებობებზე.<sup>112</sup>

<sup>108</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №2162 2016 წლის 7 ოქტომბერი; ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3417306>

<sup>109</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №1122 2016 წლის 13 ივნისი; ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3314948?publication=0>

<sup>110</sup>შენიშვნა: კონკრეტულ საკადასტრო ერთეულებზე ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ განკარგულებით კომპანიისთვის გადაცემული უძრავი ნივთების ნაწილზე კომპანიას შესაბამისი რეგისტრაციის თხოვნით არ მიუმართავს და მასზე დღემდე სახელმწიფოს საკუთრება რჩება, შესაბამისად, გარკვეული შეუსაბამობა აღინიშნება საქართველოს მთავრობის განკარგულებებით არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასა და კვლევის ფარგლებში EMC-ისთვის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ მონაცემებს შორის.

<sup>111</sup> შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დაკვეთით მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ნაწილი 3; გვ. 622 ხელმისაწვდომია: [http://transelectrica.com/report/new/khudoni\\_ESIA\\_Georgian\\_3.pdf](http://transelectrica.com/report/new/khudoni_ESIA_Georgian_3.pdf)

<sup>112</sup> იქვე;

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არასათანადოდ იყო ასახული პროექტის ფარგლებში მოსახლეობაზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა და შესაბამისად, სათანადოდ არ იყო განსახილველი მისი შემარბილებელი ღონისძიებები, რის გამოც პროექტი ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისიამ (NCEA – Netherlands Commission on Environmental Assessment), უარყოფითად შეაფასა.<sup>113</sup> იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს მიერ მითითებული საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება არ განხორციელებულა/სახელმწიფოს მითითებული საპროექტო დოკუმენტაცია არ შეუთანხმებია, მისი დეტალური შეფასება კვლევის მიზნებისთვის არარელევანტური იქნებოდა.

*სახელმწიფო მიწა ხუდონჰესის პროექტში*

იქიდან გამომდინარე, რომ ხუდონჰესის პროექტი რამდენიმე სოფლის დატბორვას, ადგილობრივი მოსახლეობის განსახლებასა და სხვა თანმდევი საკითხების მოწესრიგებას ითვალისწინებდა, ნენსკრაჰესთან შედარებით აღნიშნულ პროექტში ბევრად უფრო დრამატულად დგას საკუთრების უფლების საკითხი.

გადაცემის თარიღი	სამართლებრივი ფორმა	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	ფართობი (კვ.მ.)
2011 წლის 14 დეკემბერი <sup>114</sup>	აღნაგობის უფლება, 99 წლის ვადით	36	1559656
2011 წლის 19 დეკემბერი <sup>115</sup>	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	137	11824490
2012 წლის 9 იანვარი <sup>116</sup>	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	10	306364
2012 წლის 17 აპრილი <sup>117</sup>	პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება	11	144597
	<b>სულ</b>		<b>13 835 107</b>

<sup>113</sup> Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project NCEA OS24 – B017/ISBN 978-90-421-3781-3; p 20; ხელმისაწვდომია: [https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013\\_final\\_advice.pdf](https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013_final_advice.pdf)

<sup>114</sup> საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის 2428 განკარგულება;

<sup>115</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბრის 19/12/01 განკარგულება;

<sup>116</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 9 იანვრის 09/01/01 განკარგულება;

<sup>117</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 აპრილის 17/04/09 განკარგულება;

შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ხუდონჰესის ინვესტორ კომპანიას სახელმწიფომ სიმბოლურ ფასად 1 აშშ დოლარის ან 1000 ლარის სანაცვლოდ საკუთრებასა და მფლობელობაში გადასცა სოფელ ხაიშშა და ჯვარში მდებარე 1383 ჰა მიწის ნაკვეთი.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ უშუალოდ პროექტთან შემხებლობაში ინფრასტრუქტურისა და საჯარო სივრცეების გარდა, აღნიშნული ტრანზაქციების ფარგლებში სახელმწიფომ კერძო კომპანიას გადასცა ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია და ხაიშის საჯარო სკოლა.

ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე საკუთრების გადაცემისას მოექცა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიც, ცნობილი იყო როგორც კომპანიისთვის, ისევე სახელმწიფოსთვისაც. ჯერ კიდევ 2013 წელს შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ სხვადასხვა უწყებას გაუგზავნა წერილი, რომელშიც კომპანია მიუთითებს, რომ მათდა გასაკვირად მათთვის ცნობილი გახდა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ კომპანიისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ნაწილი ფარავდა კერძო საკუთრების ქონებას, რის დასადგენადაც კომპანია მოითხოვდა შესაბამისი უწყებების მიერ ინფორმაციის გადამოწმებას და ამ უწყებებთან ერთად მსგავსი სადავო შემთხვევების განხილვას.<sup>118</sup>

იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით პროექტი დაკონსერვებულია, ჰესის საპროექტო არეალში მოქცეული სოფლების უმეტესი ნაწილი დღემდე კომპანია შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ საკუთრებაშია რეგისტრირებული, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საკუთრების უფლების განგრძობადი შეზღუდვის გარდა, ყოველდღიურ ყოფით პრობლემებსაც უქმნის. მაგალითად, ხაიშის მცხოვრებთა განცხადებით, ხაიშის საჯარო სკოლაში სკოლის მოსწავლეებს მძიმე პირობებში უწევთ ყოფნა და სარემონტო სამუშაოები ვერ ხერხდება იმის გამო, რომ სკოლის შენობის მესაკუთრეს ოფიციალურად შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ წარმოადგენს.

#### *რეკომენდაციები:*

ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკუთრების უფლებასა და მიწის რესურსებზე რეალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც აღიარებს სვანეთში ტრადიციული სათემო/ინდივიდუალური საკუთრების არსებობას და ადგილობრივ მოსახლეობას წინასწარ დადგენილი, განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე შესაძლებლობას მისცემს, დაარეგისტრონ მასზე საკუთრების უფლება.
- საქართველოს მთავრობამ მოამზადოს საკანონმდებლო პაკეტი განვითარების პროექტების ფარგლებში განსახლების პოლიტიკისა და თანმდევი შედეგების მაკომპენსირებელი ღონისძიებების დასარეგულირებლად, ამ მიმართულებით არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებზე დაფუძნებით.<sup>119</sup>

<sup>118</sup> შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ 22.04.2013 წლის 27-04/2013 წერილი;

<sup>119</sup> ვრცლად იხილეთ ბმულზე [https://www.mes.gov.ge/uploads/files/RPF%20-%20Georgia%20IQ\\_Project%20GEO%20%20with%20minutes.pdf](https://www.mes.gov.ge/uploads/files/RPF%20-%20Georgia%20IQ_Project%20GEO%20%20with%20minutes.pdf)

- განვითარების პროექტების ფარგლებში სახელმწიფო ქონებისა და საჯარო სივრცეების ინვესტორი კომპანიებისთვის გადაცემის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“/საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და ადგილზე იმის გამოკვლევა, წარმოადგენს თუ არა განსაკარგავი უძრავი ქონება კერძო მფლობელობაში არსებულ ქონებას ან ისეთ საჯარო სივრცეს, როგორცაა სოფლის სკოლა.

### შრომითი უფლებები და დასაქმება

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციოეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვის საკითხი, რაც განვითარების ყველა პროექტს ახლავს თან, პროექტის ფარგლებში შექმნილი დასაქმების ადგილებია. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესია. ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ჰესის მშენებლობის მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი და დადებითი ზეგავლენა სწორედ ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა და მითითებული გზით არსებული სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია მსგავს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დასაქმებისთვის საჭირო სპეციალური ცოდნა/გამოცდილება, ისინი პროექტის ფარგლებში ხშირად ვერ საქმდებიან ან დასაქმება ძალიან ხანმოკლეა, დასაქმების შემთხვევაში კი, ძირითადად, სათანადო კვალიფიკაციის არქონის არგუმენტით, დაბალ პოზიციებზე და, შესაბამისად, დაბალ/ნაკლებ პირობებზე საქმდებიან.

ჰიდროელექტროსადგურების პროექტების დიდი ნაწილი წარმოადგენს მომეტებული რისკის სამშენებლო ობიექტებს, რის გამოც აუცილებელია, როგორც უშუალოდ კომპანიების, ასევე შესაბამისი უწყებების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დასაქმებულთა შრომისა და სამშენებლო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მათ შორის მითითებულ საკითხზე დასაქმებულებისთვის ჩატარდეს განგრძობადი ტრენინგები.

რამდენადაც ხუდონჰესის პროექტი არსებული მოცემულობით დაკონსერვებულია, ხოლო ნენსკრაჰესის პროექტი სრული დატვირთვით არ მუშაობს, კონკრეტული პროექტების ფარგლებში შრომითი უფლებებისა და დასაქმების პოლიტიკის შეფასება ფრაგმენტულად, საპროექტო დოკუმენტებში, კომპანიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოგვიწევს.

### ნენსკრაჰესი

სახელმწიფოსა და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას აქვს გონივრული ვალდებულება, საქართველოს მოქალაქეებს დაეხმაროს, ტრენინგების საშუალებით, ტექნოლოგიური ცოდნის მიღებაში. გონივრულობის ფარგლებსა და საქართველოს მოქალაქეების მიერ საჭირო უნარ-ჩვევების არსებობის/ფლობის პირობებში/შემთხვევაში დაასაქმოს ისინი, პროექტის განვითარების, დაპროექტების, მშენებლობის, ოპერირებისა და შენარჩუნების მიზნით. ასევე,



ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას აქვს ვალდებულება, სხვადასხვა სიკეთისა და ნივთების შექმნისას, თუ მათ აქვთ იგივე ან უკეთესი ხარისხი, იგივე და უფრო დაბალი ფასი, უპირატესობა მიანიჭონ ადგილობრივ წარმოებას/წარმს. აღნიშნული ვალდებულებების შესრულების თაობაზე კომპანია ვალდებულია, საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში.<sup>120</sup>

2015 წელს სახელმწიფოს მიერ შეთანხმებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად/2015 წელს სახელმწიფოს მიერ შეთანხმებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, აღნიშნული ვალდებულებები შემდეგი სახით არის გამოხატული: „მშენებლობის სხვადასხვა ფაზაზე დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით იქნება 500-600 კაცი, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე – 50-60 კაცი. გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით მშენებლობის ფაზაზე, მოსალოდნელია სამშენებლო მასალის წარმოებისა და მომსახურების სფეროების ბიზნესსაქმიანობების გააქტიურება, რაც დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის გარანტიაა. აღნიშნული მნიშვნელოვანი დადებით ზეგავლენა იქნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და სოციალურ მდგომარეობაზე, ხოლო რეგიონის მასშტაბით მცირე დადებით ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს.“<sup>121</sup> „გარდა ამისა, სს „ნენსკრას“ დაგეგმილი აქვს ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების გადამზადება სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმების მიზნით. საქართველოში მოქმედ ჰესებზე მომზადდება ადგილობრივი პერსონალი ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე დასაქმებისათვის. დაგეგმილია ასევე ადგილობრივი ახალგაზრდების მიზნობრივი მომზადება საქართველოს შესაბამის უნივერსიტეტებში.“<sup>122</sup>

დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდა სს „ნენსკრა ჰიდრომაც“, რომლის მონაცემების თანახმად, პროექტის ფარგლებში ამჟამად დასაქმებულია 183 ადამიანი, მათ შორის 115 ადგილობრივი მოსახლე, რაც შეადგენს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 62.84%-ს. მომავალში, ოპერირების ეტაპზე პროექტის მიერ დასაქმებულთა რაოდენობა 800-1000 ადამიანი იქნება, ხოლო უშუალოდ ექსპლუატაციის პერიოდში 20-30 ადამიანი.<sup>123</sup> ადგილობრივები დასაქმებულები არიან სხვადასხვა პოზიციაზე, ხელმძღვანელი მუშაკი (მენეჯერი), მრეცხავი, მზარეულის თანაშემწე, დამლაგებელი, შემკეთებელი/მომსახურე, მსუბუქი ა/მანქანის მძღოლი, ტექნიკის ზედამხედველი, საწვავის ოპერატორი, ელექტრიკოსი ოპერატორი, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, უცხო ენების მასწავლებელი, კომპიუტერის მასწავლებელი, ექიმი, მეკავშირე ოფიცერი, დარაჯი და ა.შ.<sup>124</sup>

კომპანია ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გადამზადებით კურსებს ინგლისურ ენასა და მძიმე ტექნიკის მართვაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდისთვის ნენსკრაჰესის პროექტი სრული დატვირთვით არ მუშაობს, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა სახის დასაქმების

<sup>120</sup> ხელშეკრულება გვ. 53; Article 19;

<sup>121</sup> ნენსკრაჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (გზმ) 2015 წ. გვ.84; 6.13.2.4 დასაქმება; ხელმისაწვდომია: [http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra\\_hidro/gzsh2.pdf](http://moe.gov.ge/res/images/file-manager/daskvnebinebartvebi/nenskra_hidro/gzsh2.pdf)

<sup>122</sup> იქვე;

<sup>123</sup> სს „ნენსკრა ჰიდროს“ 2019 წლის 2 ივლისის წერილი;

<sup>124</sup> იქვე;

პოლიტიკა/სამუშაო პირობები იქნება პროექტის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

აღსანიშნავია, რომ კვლევაზე მუშაობის პერიოდში სს „ნენსკრა ჰიდროს“ წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა შრომითი დავა, რომლის ფარგლებში კომპანიის ყოფილი დასაქმებული, კომუნიკაციების სპეციალისტი, სს „ნენსკრა ჰიდროსგან“ მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას იმის გამო, რომ კომპანიამ სამუშაო ადგილი მასთან წინასწარი ან შესაბამისი წერილობითი შეთანხმებისა და სხვა წინაპირობების გარეშე შეცვალა (თბილისიდან სვანეთში გადაიტანა), რის გამოც იგი იძულებული გახდა, პირადი განცხადებით დაეტოვებინა სამუშაო ადგილი. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, თუმცა საკვლევი პერიოდისთვის მითითებული გადაწყვეტილება საბოლოო არ არის, რამდენადაც კანონიერ ძალაში არ შესულა.

საპროექტო დოკუმენტაცია ასევე ითვალისწინებს გარკვეულ ღონისძიებებს შრომითი უსაფრთხოების მიმართულებით, თუმცა ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი ამ ეტაპისთვის აქტიურ ფაზაში არ არის, იმის შეფასება, რამდენად მოხდება შრომითი უსაფრთხოების სწორად იმპლემენტაცია, შეუძლებელია.

## ხუდონჰესი

ნენსკრაჰესის პროექტის მსგავსად, ხუდონჰესის პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაშიც გვხვდება ჩანაწერი საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან დაკავშირებით.

საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში 2015 წლის 9 სექტემბერს შესული ცვლილების თანახმად, კომპანიას ვალდებულია აქვს პროექტის იმპლემენტაციის (მათ შორის, ოპერირების) ფარგლებში დასაქმებულთა 75% საქართველოს მოქალაქე იყოს.<sup>125</sup>

მითითებულ ჩანაწერამდე მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად კი პროექტის მშენებლობის დროს პიკურ ფაზაზე, სავარაუდოდ, მთლიანად, დასაქმდება 3000 მუშახელი, რომელთაგანაც 60-70% საქართველოს მოქალაქეები იქნებიან (დასაქმდებიან როგორც ხაიშისა და მისი შემოგარენის მკვიდრნი, ასევე მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან), თუმცა გზშ-ის ანგარიში დეტალურად არ განიხილავს დასაქმებასა და შრომის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.<sup>126</sup> ხუდონჰესის შრომით პოლიტიკასთან დაკავშირებით საუბარი სრულიად არააქტუალური შეიძლება იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ პროექტზე სამუშაოები არ დაწყებულა და პროექტი ამჟამად დაკონსერვებულია.

<sup>125</sup> ცვლილება საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში 2015 წლის 9 სექტემბერი. პ.9; ხელმისაწვდომია: <http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Shetankhmeba%2009092015%201169%20geo.pdf>

<sup>126</sup> გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ნაწილი 3; გვ.645; ხელმისაწვდომია: [http://transelectrica.com/report/new/khudoni\\_ESIA\\_Georgian\\_3.pdf](http://transelectrica.com/report/new/khudoni_ESIA_Georgian_3.pdf)

### რეკომენდაციები:

იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, აუცილებელია, სახელმწიფომ და კერძო კომპანიებმა შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და ადგილობრივებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შესაქმნელად, მათ შორის:

- პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებაში გაიწეროს კომპანიის ვალდებულებები ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; აღნიშნული ვალდებულების ეფექტიანად განხორციელების მიზნით შესაბამისი ინდიკატორების დათქმით.
- სახელმწიფომ და კომპანიებმა უზრუნველყონ დასაქმებულთათვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა, მათ შორის ღირსეული ანაზღაურების კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომითი უსაფრთხოების ორგანიზებისა და ამ მიმართულებით განგრძობითი ტრენინგების საკითხს. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად განხორციელდეს მითითებულ ობიექტებზე შრომითი უსაფრთხოების დაცვის ზედამხედველობა.

### მკვიდრი მოსახლეობის (Indigenous People) სტატუსი

2018 წლის მარტში მესტიაში ლალხორის შეკრებაზე, რომელშიც სვანეთის თითქმის ყველა თემის წარმომადგენელი მონაწილეობდა, გამოაცხადეს [გადაწყვეტილება](#)<sup>127</sup>, რომლითაც კატეგორიულად აიკრძალა მთელ სვანეთში ჰესების მშენებლობა, ოქროს წარმოება და ბუნების, ადამიანის საცხოვრისის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელი, საზიანო და დამანგრეველი ყველა სამუშაოს წარმოება; ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარების თხოვნით მიმართეს, რასაც მათთვის ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება უნდა მოჰყოლოდა; ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სვანებთან შეუთანხმებლად, სვანეთში არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი აღარ უნდა განხორციელდებულყო.

ლალხორის განცხადებამ, სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დღემდე სათანადოდ აღქმადი არ არის, თუ რა მიზანს შეიძლება, ემსახურებოდეს სვანებისთვის მსგავსი სტატუსის მინიჭება. ამგვარ ბუნდოვანებას ამ საკითხის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია და მანიპულაცია მოჰყვა.

### რას ნიშნავს მკვიდრი მოსახლეობა?

მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მქონე ხალხი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ტრადიციითა და მახასიათებლებით გვხვდება. მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით,

<sup>127</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-protest-resume-against-the-big-hydro-power-plants-in-svaneti/4280908.html>

არსებობს გარკვეული კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ მკვიდრი მოსახლეობის იდენტიფიცირება მოხდეს კონკრეტული ქვეყნის კონტექსტისა და მკვიდრ მოსახლეობად თვითაღქმის გათვალისწინებით.<sup>128</sup>

ქართული სამართალი მკვიდრი მოსახლეობის საკითხს არ არეგულირებს, რამდენადაც ამ ეტაპისთვის ხელისუფლება და კანონმდებლობა უარყოფს მსგავსი ჯგუფების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც აღინიშნა, ერთიანი განმარტება, იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მკვიდრი მოსახლეობა და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ამ სტატუსისთვის, ასევე არ არსებობს საერთაშორისო სამართალშიც და აღნიშნული ტერმინი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ფართო განმარტებას იძენს.

მკვიდრი მოსახლეობის განმარტებისას ხშირად ეყრდნობოდნენ მარტინეზ კობოს (Martinez Cobo) პირველად მიდგომას, რომელიც მკვიდრი მოსახლეობის აუცილებელ კომპონენტად კოლონიურ გამოცდილებას მიიჩნევდა.<sup>129</sup> თუმცა აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად გააკრიტიკეს აკადემიურ სივრცეებში და ის ასევე ვერ დამკვიდრდა საერთაშორისო დოკუმენტებშიც.

მკვიდრი მოსახლეობა ფართოდ განმარტა გაეროს სამუშაო ჯგუფმა 1982 წელს და ის შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: „მკვიდრი მოსახლეობები მოიცავს იმ ხალხთა შთამომავლებს, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ცხოვრობდნენ თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმ დროს, როცა ამ ტერიტორიაზე დასახლდნენ განსხვავებული კულტურის ან ეთნიკური წარმომავლობის ხალხები და თანდათანობით ჩააყენეს ისინი არადომინანტურ ან კოლონიურ მდგომარეობაში; ისინი, ვინც დღესდღეობით უმეტესწილად ცხოვრობენ მათთვის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ჩვეულებითა და ტრადიციებით, ქვეყნის ინსტიტუციებთან ერთად, სახელმწიფოს იმ სტრუქტურული მოწყობის საფუძველზე, რომელიც დიდწილად ითავსებს პრედომინანტური მოსახლეობების ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს.“<sup>130</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს განმარტება თავისუფლად შეიძლება მოერგოს ბასკებს, ჩრდილო ირლანდიელებს, უელსელებს, ჩეჩნებს, ტიბეტელებს, პუერტო რიკოელებსა და სხვა.<sup>131</sup>

თანამედროვე განმარტებები რადიკალურად ცვლის მიდგომას და მკვიდრი მოსახლეობის განმარტებისას ეყრდნობა კულტურული თავისებურებების („ტრადიციული ცხოვრების წესის“) არსებობისა და განვითარების აუცილებლობის კრიტერიუმს.<sup>132</sup> ეს მიდგომა ხაზს

<sup>128</sup> Birgitte Feiring “Indigenous peoples’ rights to lands, territories, and resources” p.14 ხელმისაწვდომია: <https://www.landcoalition.org/sites/default/files/documents/resources/IndigenousPeoplesRightsLandTerritoriesResources.pdf>

<sup>129</sup> Odette Mazel, The Evolution of Rights: Indigenous Peoples and International Law, Australian Indigenous Law Review , Vol. 13, No. 1, 2009, p. 148, ხელმისაწვდომია: [https://www.jstor.org/stable/pdf/26423121.pdf?ab\\_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3A3fab89a2819b612b890af8b426a72517](https://www.jstor.org/stable/pdf/26423121.pdf?ab_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3A3fab89a2819b612b890af8b426a72517)

<sup>130</sup> Jeff J. Cornthassel and Tomas Hopkins Primeau, Indigenous "Sovereignty" and International Law: Revised Strategies for Pursuing "Self-Determination", Human Rights Quarterly, Vol. 17, No. 2, 1995, p. 347, ხელმისაწვდომია: [https://www.jstor.org/stable/pdf/762521.pdf?ab\\_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3Ab4f5a6eba4515783a7ebc2c4a439a1b3](https://www.jstor.org/stable/pdf/762521.pdf?ab_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3Ab4f5a6eba4515783a7ebc2c4a439a1b3)

<sup>131</sup> იქვე, p. 348.

<sup>132</sup> Uliya Popova-Gosart, Indigenous Peoples: Attempts to Define, 2012, p. 89, ხელმისაწვდომია: [https://www.researchgate.net/publication/233953469\\_Indigenous\\_Peoples\\_Attempts\\_to\\_Define](https://www.researchgate.net/publication/233953469_Indigenous_Peoples_Attempts_to_Define)

უსვამს ერი-სახელმწიფოს დომინანტური სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურებისგან მკვიდრი მოსახლეობის კულტურულ განსხვავებულობას.<sup>133</sup>

ამ კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტების მოხმობაა შესაძლებელი, მათ შორის კონკრეტული კრიტერიუმები აქვს გაწერილი სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას. მაგალითად, მსოფლიო ბანკი (The World Bank) მხედველობაში არ იღებს „კოლონიურობის“ კრიტერიუმს, მიუთითებს რა, რომ „ადგილობრივი ხალხები არიან სოციალური ჯგუფები ისეთი იდენტობებით, რომლებიც გამოარჩევენ მათ ეროვნული საზოგადოებების სხვა დომინანტური ჯგუფებისგან და აქცევენ მოსახლეობის მარგინალიზებულ და მოწყვლად სემენტად.“<sup>134</sup> მსოფლიო ბანკი უფრო კონკრეტულად მიუთითებს, რომ ეს გულისხმობს: თვითიდენტიფიკაციას, როგორც გამორჩეული ადგილობრივი კულტურული ჯგუფის წევრების; კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა და წინაპრების ტერიტორიაზე კოლექტიურ მიკუთვნებულობას; ჩვეულებაზე დაფუძნებულ გამორჩეულ კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ ან პოლიტიკურ ინსტიტუტებს და ადგილობრივ ენას.<sup>135</sup> მკვიდრი მოსახლეობები „მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მათ მიწასთან, ტყესთან, წყალთან, ველურ გარემოსა და სხვა ბუნებრივ რესურსებთან.“<sup>136</sup>

კიდევ ერთი განმარტება, რომელიც ფართოდაა მიღებული, პრაქტიკული შინაარსის გამო, ეკუთვნის მარტინეზ კობოს, რომელმაც თავდაპირველი მიდგომა შეცვალა. ამ დეფინიციის თანახმად, „ადგილობრივი ხალხები მოიცავენ ნებისმიერ საზოგადოებას (თემს), რომლებიც ინარჩუნებენ წინაპრების ტერიტორიასთან ისტორიულად უწყვეტ კავშირს.“<sup>137</sup>

ალბათ, ყველაზე ხაზგასასმელია, რომ არსებითად მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის საკითხი უშუალოდ მოსახლეობის ასეთად თვითაღქმას უკავშირდება. ამ დროს გადამწყვეტია „თვითიდენტიფიკაცია“ (self-identification) ან „თვითგანსაზღვრა“ (self-definition).<sup>138</sup> ადგილობრივი ხალხების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის (WGIP) მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „ისტორიულად, ადგილობრივი ხალხები ზარალდებოდნენ სხვების მიერ შექმნილი დეფინიციებით.“<sup>139</sup> სვანები, კი სწორედ სვანეთის მკვიდრ მოსახლეობად იდენტიფიცირდებიან, გამორჩეული წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით.

### *რისი მომტანი შეიძლება იყოს მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი სვანებისთვის?*

2018 წლის მარტში ლალხორის მიერ მკვიდრი მოსახლეობის სტატუსთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარეც შეგვიძლია დაახლოებით იმის

<sup>133</sup> იქვე, p. 104.

<sup>134</sup> Odette Mazel, დასახელებული სტატია, p. 148.

<sup>135</sup> INDIGENOUS PEOPLES OF RUSSIA COUNTRY PROFILE, The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank, 2014, p. VIII, ხელმისაწვდომია: <http://documents.worldbank.org/curated/en/537061468059052611/pdf/891510WP0Box380gual0flipbook0GB0WEB.pdf>

<sup>136</sup> იქვე, p. IX.

<sup>137</sup> INDIGENOUS PEOPLES OF RUSSIA COUNTRY PROFILE, The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank, 2014, p. 12.

<sup>138</sup> Jeff J. Corntassel and Tomas Hopkins Primeau, დასახელებული სტატია, p. 348.

<sup>139</sup> INDIGENOUS PEOPLES OF RUSSIA COUNTRY PROFILE, The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank, 2014, p. 12.



იდენტიფიცირება, თუ რა შეიძლება, მოიტანოს მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის აღიარებამ, ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონებამ და სვანებთან შეთანხმების გარეშე, ინფრასტრუქტურული პროექტის შეწყვეტამ.

მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს ტრადიციულ საკუთრებასა და მათ გარშემო არსებულ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი აწესრიგებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გაეროს დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებებთან დაკავშირებით<sup>140</sup> და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია მკვიდრ და ტომობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებით.<sup>141</sup>

მითითებული დოკუმენტების თანახმად, მკვიდრ მოსახლეობას აქვს უფლებები იმ მიწებზე, ტერიტორიასა და რესურსებზე, რომელსაც ტრადიციულად იკავებდნენ, ფლობდნენ და სარგებლობდნენ, რაც გულისხმობს იმას, რომ მკვიდრი მოსახლეობის საკუთრების უფლება წყდება არა მიწაზე საკუთრების უფლებების ოფიციალური აღიარებით ან რეგისტრაციით, არამედ ტრადიციული სარგებლობით.<sup>142</sup>

მკვიდრ მოსახლეობას უფლებები აქვს არა მხოლოდ უშუალოდ იმ მიწებზე, რომლებსაც ამუშავებდნენ ან ცხოვრობდნენ, არამედ უფრო ფართო ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს მთელ გარემოს, არეალს, რომელსაც ისინი იკავებენ ან სხვა სახით გამოიყენებენ, მათ შორის, ბუნებრივ რესურსებზე, მდინარეებზე, ტბებსა და სანაპიროებზე.<sup>143</sup>

მკვიდრ მოსახლეობას უფლებები აქვს მათ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზეც. ეს მოიცავს ამ რესურსების ფლობის, სარგებლობის, განვითარებისა და კონტროლის უფლებას. ეს რესურსები მოიცავს როგორც არაგანახლებად, ისევე განახლებად რესურსებს.

საერთაშორისო სამართალი ასევე აღიარებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბუნებრივი რესურსების ექსკლუზიური მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება სახელმწიფოს აქვს, თუმცა ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა მკვიდრი მოსახლეობის კონსულტირება, მონაწილეობა, ასევე კომპენსირება იმ ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია ამ რესურსების გამოყენებამ.<sup>144</sup> ასეთივე წინასწარი შეთანხმებაა საჭირო მკვიდრი მოსახლეობის ნებისმიერი სახით, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, გადასახლებასთან დაკავშირებით. კერძოდ კი, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მკვიდრი მოსახლეობის უფლებები და ერთიანობა, ამ ადამიანების გადასახლება შესაძლებელია მხოლოდ მათ თავისუფალ და ინფორმირებულ არჩევანზე დაფუძნებული თანხმობის პირობებში, რაც გულისხმობს, რომ მკვიდრ მოსახლეობას სრულად აქვს გააზრებული გადასახლების არსი და შედეგები, რაც მას შეიძლება, მოჰყვეს და ეთანხმება მას. იმ შემთხვევაში, თუ მსგავს თანხმობას

<sup>140</sup> 61/295. „United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples“(UNDRIP); Resolution adopted by the General Assembly on 13 September 2007 ხელმისაწვდომია: [https://www.un.org/development/desa/indigenouspeoples/wp-content/uploads/sites/19/2018/11/UNDRIP\\_E\\_web.pdf](https://www.un.org/development/desa/indigenouspeoples/wp-content/uploads/sites/19/2018/11/UNDRIP_E_web.pdf)

<sup>141</sup> ILO C169 - Indigenous and Tribal Peoples Convention, 1989 (No. 169); ხელმისაწვდომია: [https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100\\_ILO\\_CODE:C169](https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C169)

<sup>142</sup> UNDRIP art. 25, 26.1, 26.2; C169 art. 14.1; C107 art. 11.

<sup>143</sup> UNDRIP art. 26; C169 art. 13.2

<sup>144</sup> ILO “INDIGENOUS & TRIBAL PEOPLES’ RIGHTS IN PRACTICE”; A GUIDE TO ILO CONVENTION No. 169; 2009; P.107; ხელმისაწვდომია: [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_norm/---normes/documents/publication/wcms\\_106474.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_106474.pdf)

ვერ მიიღებენ, გადასახლება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი მოწესრიგების შესაბამისად, მათ შორის, იმ ადამიანების საჯარო გამოკითხვის უზრუნველყოფით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ გადასახლება.<sup>145</sup>

მითითებული სტანდარტების დამკვიდრებამ სვანეთის კონტექსტში შესაძლოა, არსებითად უზრუნველყოს მოსახლეობის ინტერესების დაცვა იმ ძირითადი გამოწვევების მიმართულებებით, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისას ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება მათ, იქნება ეს სახელმწიფოს მიერ ტრადიციული, სათემო საკუთრების არაღიარება, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსახლეობის არასათანადო ჩართულობა და მათი არაინფორმირებულობა თუ გადასახლების გადაწყვეტილება ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, როგორცაა, მაგალითად, ხუდონჰესი, ასევე კულტურისა და სვანური ენის თვითმყოფადობის უზრუნველყოფა, რომელიც UNESCO-ს თანახმად, უდავოდ გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარ (Definitely endangered) ენებშია შეყვანილი.<sup>146</sup>

### *სვანების ბრძოლა მკვიდრი მოსახლეობის სტატუსისათვის*

დღეის მდგომარეობით, სვანებს მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი არც საქართველოს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული და არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. თუმცა მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი მხოლოდ რომელიმე ორგანიზაციის აღიარებას არ უკავშირდება და არსებითად/ძირითადად მოსახლეობის მკვიდრ მოსახლეობად თვითიდენტიფიცირებას ეყრდნობა.

მკვიდრ მოსახლეობას აქვს თვითგამორკვევის უფლება, ეს უფრო თვითაღქმის იდენტიფიცირებას წარმოადგენს და არ უკავშირდება საერთაშორისო სამართალში არსებულ თვითგამორკვევის უფლებას, რომლის გამოც მკვიდრი მოსახლეობის საკითხზე მსჯელობამ გარკვეულ ჯგუფებში უარყოფითი კონოტაცია შეიძინა. „თვითგამორკვევა უნდა გულისხმობდეს კულტურული ჯგუფების უფლებას, ჰქონდეთ ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლითაც მოახერხებენ არსებობასა და განვითარებას მათი განსაკუთრებული მახასიათებლების შესაბამისად.“<sup>147</sup> ეს შესაძლოა, გულისხმობდეს რაიმე ფორმის ავტონომიას, ბუნებრივ რესურსებზე კონტროლს, ბუნებრივი გარემოს პრეზერვაციას, განათლების, ენისა და რელიგიური თავისუფლების საკითხებს, ასევე ყველაფერ იმას, რაც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მათი კულტურული იდენტობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად.<sup>148</sup>

ერთ-ერთი პირველი პროექტი, რომლის ფარგლებშიც სვანების მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი შეფასდა, ხუდონჰესია. იმის მიუხედავად, რომ უშუალოდ ინვესტორ კომპანიას

<sup>145</sup> იქვე; გვ.169;

<sup>146</sup> UNESCO Atlas of the World's Languages in Danger; ხელმისაწვდომია: <http://www.unesco.org/languages-atlas/en/atlasmap/language-id-1058.html>

<sup>147</sup> Jeff J. Corntassel and Tomas Hopkins Primeau, Indigenous "Sovereignty" and International Law: Revised Strategies for Pursuing "Self-Determination", Human Rights Quarterly, Vol. 17, No. 2, 1995, p. 363, ხელმისაწვდომია: [https://www.jstor.org/stable/pdf/762521.pdf?ab\\_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3Ab4f5a6eba4515783a7ebc2c4a439a1b3](https://www.jstor.org/stable/pdf/762521.pdf?ab_segments=0%252Fdefault-2%252Fcontrol&refreqid=excelsior%3Ab4f5a6eba4515783a7ebc2c4a439a1b3)

<sup>148</sup> იქვე, p. 365

სვანები მკვიდრ მოსახლეობად არ შეუფასებია, მითითებულ პროექტთან დაკავშირებით ექსპერტული შეფასების მოსამზადებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მოწვეული ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისია (NCEA – Netherlands Commission on Environmental Assessment) შეფასებაში მიუთითებს, რომ ხაიშში მცხოვრები სვანები აკმაყოფილებენ მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მთელ რიგ კრიტერიუმებს და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიმართ გასცემს რეკომენდაციას ამ საკითხზე დამატებით კომუნიკაციაზე.<sup>149</sup>

მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის უფრო ვრცელი განხილვა გვხვდება ნენსკრაჰესის საპროექტო დოკუმენტებში, სადაც აღნიშნული სტატუსი სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული კრიტერიუმების კომბინაციაზე დაყრდნობით განხორციელდა.

კომპანიამ სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი რამდენიმე კრიტერიუმზე დაფუძნებით შეაფასა:

1. თვითიდენტიფიკაცია განსხვავებული ადგილობრივი კულტურული ჯგუფის წევრებად და ასეთი იდენტიფიკაციის ცნობა სხვების მიერ;
2. კოლექტიური კავშირი გეოგრაფიულად განცალკევებულ დასახლებებთან (ტრადიციული მიწები) ან საგვარეულო ტერიტორიებთან პროექტის ფართობზე და ბუნებრივი რესურსებისადმი ამ დასახლებებსა და ფართობებზე;
3. დამახასიათებელი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც განცალკევებულნი არიან დომინანტური საზოგადოებისა და კულტურის მსგავსი ინსტიტუტებისაგან;
4. ცალკე ენა (ან დიალექტი EBRD-ისათვის) ხშირად განსხვავებული ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალური ენისაგან (ან დიალექტისაგან EBRD-ისათვის)
5. წარმომავლობა მოსახლეობისაგან, რომელიც ტრადიციულად მისდევდა ნატურალურ (და ხშირად მომთაბარე/პირუტყვის გადადენა) მეურნეობას და რომელთა სტატუსიც რეგულირდებოდა საკუთრივ თავიანთი ჩვევებით ან ტრადიციებით, ან განსაკუთრებული კანონებით, ან რეგულაციებით;<sup>150</sup>

კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სვანები გარკვეული ხარისხით ავლენენ მკვიდრი მოსახლეობის ცალკეულ მახასიათებლებს, განსაკუთრებით ზემო სვანეთის გეოგრაფიული იზოლირების გამო, მთლიანად სვანური საზოგადოების მიმართ არ არსებობს აღნიშნული სტატუსის მინიჭების საჭიროება.<sup>151</sup>

აღნიშნული შეფასების გამო, რომელიც არსებითად თანხვედრაში არ მოდის სვანების თვითაქმასთან, სვანი მოსახლეობის სახელით რამდენიმე დავა მიმდინარეობს

<sup>149</sup> Advisory Review of the Environmental and Social Impact Assessment of the Khudoni Hydropower Project NCEA OS24 – B017/ISBN 978-90-421-3781-3; P.21 [https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013\\_final\\_advice.pdf](https://www.eia.nl/docs/os/i05/i0501/20-06-2013_final_advice.pdf)

<sup>150</sup> „ნენსკრაჰესის პროექტი დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები“ ტომი 3 სოციალური ზემოქმედების შეფასება 2017 წ. ნოემბერი; გვ30-33; [http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3\\_ES-Nenskra-Social-Impact-Assessment-Nov2017\\_GEO-1.pdf](http://nenskra.ge/file/2019/05/Vol-3_ES-Nenskra-Social-Impact-Assessment-Nov2017_GEO-1.pdf)

<sup>151</sup> იქვე;

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში იმ არგუმენტით, რომ სვანების მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი არასათანადოდ შეისწავლეს.<sup>152</sup>

### *მკვიდრი მოსახლეობის სტატუსთან დაკავშირებით არსებული გაუგებრობა*

ადგილობრივ მოსახლეობასთან მკვიდრი მოსახლეობის სტატუსზე საუბრისას განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით, რაც, ერთი მხრივ მითითებული საკითხის არასათანადო გაგებით უნდა იყოს განპირობებული.

მკვიდრი მოსახლეობის სტატუსთან დაკავშირებით კვლევის ფარგლებში არ არის მითითებული იმ ანთროპოლოგის შესახებ ინფორმაცია, ვინც აღნიშნული შეფასება მოამზადა, რაც, ევროპის ინვესტირების ბანკის (EIB) თანახმად, სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მიმართ პოლიტიკური დებატების სენსიტიურობითა და საქართველოში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით არის განპირობებული.<sup>153</sup> თუმცა გაუგებარია, რა სახის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზეა საუბარი სვან მოსახლეობასთან მიმართებით.

ასევე, აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ცდილობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი თუ ჰესების მხარდამჭერი პირი იმის ხაზგასმას, რომ მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მოთხოვნით სვანებს ადარებენ აფრიკელ და ინდიელთა ტომებთან, რაც მითითებული იდეის მარგინალიზებას ემსახურება.

სავარაუდოდ, მითითებულ გაუგებრობას უნდა უკავშირდებოდეს 2019 წელს ადგილობრივი მოსახლეობის სახელით სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისადმი წარდგენილი წერილი მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის თაობაზე. განცხადება, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ სვანები არიან მკვიდრი, აბორიგენი მოსახლეობა, თუმცა ისეთივე მკვიდრი, როგორც რაჭაში რაჭველები და ა.შ. ასევე, განცხადების თანახმად, „უცხოური ორგანიზაციის წარმომადგენლებს აქვთ წარმოდგენა, თითქოს არსებობს ერთმანეთს დაპირისპირებული სვანები და ცალკე – ქართველები, უფრო მრავალრიცხოვანი სხვა ერი, რომელმაც თავის სახელმწიფოში ჩართო სვანები და უპირისპირდება სვანებს. ეს არის ძალიან მცდარი წარმოდგენა. სვანეთი არავის დაუპყრია გარედან და არავის ჩაურთავს სხვა ეროვნულ სახელმწიფოში.“

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი მიმართვის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენს შემდეგი: „გთხოვთ, თავი დაანებოთ ეროვნულ და ეთნიკურ საკითხებზე სპეკულაციას“.

---

<sup>152</sup> Nenskra complaint to the European Investment Bank; ხელმისაწვდომია: <https://bankwatch.org/publication/nenskra-complaint-to-the-european-investment-bank> ; Request to the EBRD's PCM on the Nenskra hydropower project; ხელმისაწვდომია: <https://bankwatch.org/publication/request-to-the-ebd-s-pcm-on-the-nenskra-hydropower-project>

<sup>153</sup> CEE Bankwatch: A complaint to the European Ombudsman; ხელმისაწვდომია: [https://bankwatch.org/wp-content/uploads/2019/05/A-complaint-to-the-European-Ombudsman\\_Nenskra.pdf](https://bankwatch.org/wp-content/uploads/2019/05/A-complaint-to-the-European-Ombudsman_Nenskra.pdf)

იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებაში სხვადასხვა პასაჟი გვხვდება მკვიდრი მოსახლეობის სტატუსთან დაკავშირებით, ხელმომწერი მოსახლეობის ნაწილისთვის გაუგებარი იყო განცხადებისა და მოთხოვნის რეალური შინაარსი და მათ აღქმით, მკვიდრი მოსახლეობის მხარდამჭერ განცხადებას მოაწერეს ხელი.

### რეკომენდაციები

- აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ და სხვა რელევანტურმა უწყებებმა კონსტრუქციული კომუნიკაცია აწარმოონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, სვანების მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის საკითხსა და აღნიშნული მოთხოვნის განმაპირობებელ მიზეზებთან დაკავშირებით. ასევე, მისცენ სვან მოსახლეობას თავისუფლება, აღნიშნულ საკითხზე ობიექტური, ინფორმირებული შეფასებისა და თვითაღქმის ჩამოსაყალიბებლად, ხოლო უშუალოდ სტატუსთან დაკავშირებით, შეფასება მოხდეს თვითაღქმისა და სხვა საერთაშორისო კრიტერიუმების საფუძველზე, ამ საკითხზე ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობისა და ინტერდისციპლინურ კვლევებზე დაყრდნობით.
- აღნიშნულის პარალელურად, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, სვანეთში არსებული ტრადიციული/სათემო საკუთრების სამართლებრივი აღიარება და ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

### ჰესების მიმართ წინააღმდეგობა და გამოხატვის თავისუფლება

სვანეთში გარემოსდაცვით საკითხებზე და უშუალოდ ჰესების მშენებლობის მიმართ წინააღმდეგობის უნიკალური გამოცდილება არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან იწყება და ხუდონჰესის მშენებლობას უკავშირდება. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში სვანეთში ჰესების საწინააღმდეგო მოძრაობის განახლებაც ასევე ხუდონჰესის პროექტის გაცოცხლებას უკავშირდება. პროექტების მასშტაბურობის ზრდასთან ერთად იზრდება წინააღმდეგობის ტალღა და მეთოდებიც.

საკმაოდ მრავალფეროვანია ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა თუ აქტივისტები კონკრეტული პროექტების წინააღმდეგ იყენებენ. ეს შეიძლება, იყოს: ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი დავის წარმოება, ტრადიციული ინსტრუმენტებით კოლექტიური წინააღმდეგობის ორგანიზება და ერთობის შენარჩუნება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა და ა.შ

### ტრადიციები როგორც წინააღმდეგობის ინსტრუმენტი

სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფისა თუ არაფორმალური გაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წინააღმდეგობის გრძელვადიან პროცესში კოლექტიურობის, ერთიანობის შენარჩუნება წარმოადგენს ხოლმე. ამ მხრივ, საინტერესო გამოცდილება



გვხვდება სვანეთში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგობისა და პროტესტის შესანარჩუნებლად ადგილობრივ ადათებს იყენებს.

მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის პირობებში კვლავ გაგრძელდა საუბარი ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ადგილობრივმა ხაიშელმა მოსახლეობამ წინააღმდეგობის ერთიანობის წარმოსაჩენად 2013 წელს მიმართეს ადგილობრივ ადათს, და თემის ეკლესიაში წმინდა გიორგის ხატზე [ფიცი დადეს](#), რომ არ დაუშვებდნენ ხუდონ-ჰესის აშენებას და დღემდე ამ ფიცის ქვეშ არიან.<sup>154</sup> მას შემდეგ ამ ფიცს სვანეთის ბევრი სხვა თემიც შეუერთდა, სხვადასხვა პროექტთან წინააღმდეგობისას.

კოლექტიურობის კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა წინააღმდეგობამ 2018 წელს სვანეთში მესტიაჰალაჰესის მშენებლობის მიმართ ორგანიზებული პროტესტის პირობებში. კერძოდ კი, დიდხნიანი წყვეტის შემდეგ, 2018 წელს პირველად მოეწყო სრულიად სასვანეთო ლალხორი – სვანეთის თემთა წარმომადგენლების შეკრება, რომლის გადაწყვეტილებებიც, ტრადიციულად, ასევე ხატზე ფიცის დადებით მტკიცდებოდა. კერძოდ კი, 2018 წლის მარტში მესტიაში შეიკრიბა 17-მდე თემის წარმომადგენლისგან შემდგარი ლალხორი, რომლის მოთხოვნასაც წარმოადგენდა მთელ სვანეთში ჰესების მშენებლობის, ოქროს წარმოებისა და ბუნების, ადამიანის საცხოვრისის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელი, საზიანო და დამანგრეველი სამუშაოების აკრძალვა, მათ შორის იგულისხმებოდა: ხუდონჰესი, ნენსკრაჰესი, მესტიაჰალაჰესი და ზემო სვანეთში დაგეგმილი სხვა 50-ზე მეტი ჰესი.<sup>155</sup>

ასევე, ლალხორმა დააყენა მოთხოვნა, სხვადასხვა უწყების მიმართ, სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის (Indigenous Peoples) სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.<sup>156</sup>

ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა აქტორები სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ მათ მიერ ჰესების წინააღმდეგ ტრადიციების გამოყენების დაკნინებას, ამ მეთოდების არათანამედროვედ, არაქრისტიანულად შეფასებით ან/და სხვა გზით.

მაგალითად, ადგილობრივები ხუდონჰესის პროექტის ფარგლებში ფიცის სიმტკიცეზე მსჯელობისას საუბრობენ, გარკვეული სასულიერო თუ საერო პირების მიერ როგორ ინიშნება ხატზე დაფიცება არაქრისტიანულ, წარმართულ ტრადიციად, ასევე, როგორ სთავაზობენ ადგილობრივებს ფიცის ახსნას.<sup>157</sup>

<sup>154</sup> „მწვანე ალტერნატივის“ youtube გვერდი: ხაიშელების ფიცი 17.09.2013; ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=DvaIbZWvzk&feature=youtu.be>

<sup>155</sup> „ამერიკის ხმა“ – „სვანური ლალხორი: სვანეთში ჰესები არ აშენდება“; ხელმისაწვდომია:

<https://www.amerikiskhma.com/a/georgia-protest-resume-against-the-big-hydro-power-plants-in-svaneti/4280908.html>

<sup>156</sup> იქვე;

<sup>157</sup> ლუკა ნახუცრიშვილი, „ფიცის სიმტკიცე და მოხეტიალე კონსტიტუცია-ხაიშელები სახელმწიფოს პირისპირ“; ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/fitsis-simtkitse-da-mokhetiale-konstitutsia-khaishelebi-sakhelmtsifos-pirispir>

## სასამართლო და სხვა სახის დავა

ჰიდროენერგეტიკული პროექტების მიმართ პროტესტის გამოხატვის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობა ასევე აქტიურად იყენებს სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმს, რაშიც მათ ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან. აღნიშნული დავა მიმდინარეობს როგორც ადგილობრივი სასამართლოების, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შიდა გასაჩივრების მექანიზმების გამოყენებით.

ადგილობრივი მოსახლეობის სახელით ამაჟამად დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ნენსკრაჰესის პროექტთან დაკავშირებით. წარდგენილი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ნენსკრაჰესის განახლებული პროექტი მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დოკუმენტის – გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) ანგარიშის მომზადების ვალდებულებებისგან გათავისუფლდა. ამ გადაწყვეტილებით, პროექტში არსებითი ხასიათის ტექნიკური, ტექნოლოგიური და რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებების მიუხედავად, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი საფრთხეების შესაფასებლად საკმარისად მიიჩნეეს 2015 წელს მომზადებული გზშ-ის ანგარიში.<sup>158</sup>

სასამართლო დავის პარალელურად ასევე ადგილობრივი მოსახლეობისა და ორგანიზაციების CEE Bankwatch-ის და „მწვანე ალტერნატივის“ სახელით სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შიდა გასაჩივრების მექანიზმებში ნენსკრაჰესის პროექტთან დაკავშირებით წარდგენილია რამდენიმე საჩივარი<sup>159</sup>, რომლებიც სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის არასათანადო გამოკვლევასა და პროექტთან დაკავშირებით არსებულ სხვა საკითხებს შეეხება.

ნენსკრაჰესთან მიმართებით საჩივარია წარდგენილი აგრეთვე ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნის კონვენცია) ფარგლებშიც, რომელიც სვანეთი 1-ის, როგორც ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნისთვის, ნენსკრაჰესის მშენებლობის შედეგად სავარაუდო ზიანს შეეხებოდა.<sup>160</sup>

ასევე ნენსკრაჰესთან დაკავშირებით CEE Bankwatch-ის მიერ საჩივარი წარდგენილია ევროპის ომბუდსმენტთან, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, მათი მოთხოვნის მიუხედავად, გარკვეული ინფორმაციის, მათ შორის სვანებისთვის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის

<sup>158</sup> EMC-ის განცხადება – „მწვანე ალტერნატივამ და EMC-იმ ნენსკრაჰესის პროექტზე სასამართლოში დავა დაიწყო“; ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/mtsvane-alternativam-da-emc-im-nenskra-hesis-proektze-sasamartloshi-dava-daitsqes>

<sup>159</sup> საჩივარი აზიის განვითარების ბანკს (ADB), ხელმისაწვდომია: <https://lnadb4.adb.org/dir0035p.nsf/alldocs/JABM-ATX46V?OpenDocument>;

საჩივარი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD); ხელმისაწვდომია: [https://bankwatch.org/wp-content/uploads/2018/08/nenskra-complaint\\_redacted.pdf](https://bankwatch.org/wp-content/uploads/2018/08/nenskra-complaint_redacted.pdf);

საჩივარი ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB); ხელმისაწვდომია: <https://www.eib.org/en/about/accountability/complaints/cases/sg-e-2017-04-pr-nenskra-hpp.htm>

<sup>160</sup> Complaint to Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats; ხელმისაწვდომია <https://greenalt.org/complaint-to-convention-on-the-conservation-of-european-wildlife-and-natural-habitats/>

მინიჭებასთან დაკავშირებით კვლევის თაობაზე ინფორმაციის გაუსაჯაროებლობის თაობაზე.<sup>161</sup>

მითითებული დავების დიდი ნაწილი მიმდინარეა და დღეის მდგომარეობით მათზე კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.

## შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება/ადვოკატირება

ჰესების წინააღმდეგობის პროცესში უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პროტესტი, რომელიც უშუალოდ სვანეთში თუ პოლიტიკურ ცენტრში საპროტესტო აქციების ორგანიზებაში გამოიხატება. ასევე, აქტიურად გვხვდება ადვოკატირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა პეტიცია და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება. მაგალითად, გვხვდება ლალხორის მანიფესტი, სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარებისა და ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონების მოთხოვნით.<sup>162</sup> დაახლოებით 100 000 ადამიანი აწერს ხელს პეტიციას ნენსკრაჰესის შეჩერების მოთხოვნით, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი არის მიმართული.<sup>163</sup>

ყველაზე გავრცელებულ წინააღმდეგობის ფორმას კი წარმოადგენს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ საპროტესტო აქციები, რომელიც არაერთხელ გაუმართავთ სვანეთში დაგეგმილი სხვადასხვა ჰიდროელექტორსადგურის, მათ შორის ნენსკრაჰესისა და ხუდონჰესის საწინააღმდეგოდ.

საპროტესტო აქციების გამოცდილებაზე საუბრისას ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს სხვადასხვა ეპიზოდს, როდესაც ჰესების მიმართ მათი წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ გამოიყენა რეპრესიული საპოლიციო ძალა.

მოსახლეობა ნენსკრაჰესთან დაკავშირებით იხსენებს, რომ 2015 წელს სოფელ ჭუბერში გაძლიერებული დაცვის ქვეშ გაიმართა საჯარო პრეზენტაცია, რომელზე დასწრების შესაძლებლობაც შეზღუდული იყო ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგე მოსახლეობისთვის.<sup>164</sup> 2016 წლის 20 მაისს საპროტესტო მსვლელობისას ჭუბერში შეიყვანეს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები ნენსკრაჰესის მშენებლობის ადგილისკენ მიმავალ გზებზე ბლოკადის მოსახსნელად. ამ შემთხვევაში პოლიციასა და ათობით ადგილობრივ მოსახლეს შორის დაპირისპირება ჭუბერის თემის რვა მოსახლის დაკავებით დასრულდა. ადგილობრივი

<sup>161</sup> CEE Bankwatch A complaint to the European Ombudsman; 11.04.2019; ხელმისაწვდომია: [https://bankwatch.org/wp-content/uploads/2019/05/A-complaint-to-the-European-Ombudsman\\_Nenskra.pdf](https://bankwatch.org/wp-content/uploads/2019/05/A-complaint-to-the-European-Ombudsman_Nenskra.pdf)

<sup>162</sup> ლალხორის პეტიცია, ხელმისაწვდომია: <https://manifest.ge/main/item/2058>;

<sup>163</sup> Netgazeti ნენსკრა ჰესის შეჩერების მოთხოვნით 100 000-მდე ხელმოწერა საერთაშორისო ბანკებს გადასცეს

<sup>164</sup> EMC, „წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები“; 2017 წ. გვ.174; ხელმისაწვდომია: [https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90\\_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90\\_%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf](https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf)

მოსახლეობა პოლიციის მხრიდან რეპრესიული საპოლიციო ძალის გამოყენებაზე მიუთითებდა.<sup>165</sup>

მოსახლეობა ასევე მიუთითებდა 2015 წლიდან ზემო სვანეთში ხე-ტყის ჭრის განსაკუთრებულად გამკაცრებაზე. აღნიშნულ პროცესს ადგილობრივები, იმ პირობებში, როდესაც ხე-ტყის ჭრა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ერთადერთ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, აღიქვამენ ზეწოლის მცდელობად, რათა დაითანხმონ ისინი ნენსკრას პროექტზე.<sup>166</sup>

ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია 2018 წლის 26 ივლისს ხაიშსა და ჭუბერში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სპეცოპერაცია, რომლის მიზანს, სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ხე-ტყის უკანონო მოჭრისა და ხის მასალის არალეგალური რეალიზების ფაქტების გამოვლენა და ამ პროცესში მონაწილე დამნაშავეების დაკავება წარმოადგენდა.<sup>167</sup>

აღნიშნულ მოქმედებებს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა, რის შემდეგაც სვანეთის რეგიონში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პოლიციისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების მობილიზება მოხდა. ადგილობრივების განცხადებით, დაახლოებით 1000-1200 ძალოვანი გამაგრდა ხაიშისა და ჭუბერის თემებში, სადაც მათ გადაკეტეს სატრანსპორტო-სავალი გზები და ჩაკეტეს რეგიონული ცენტრები.<sup>168</sup> იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების არაერთი წარმომადგენლის გაცხადებული პოზიციის თანახმად, სპეცოპერაციის მიზანს უკანონო ხე-ტყის ჭრის აღკვეთა წარმოადგენდა, საზოგადოებაში მაინც ისმოდა კითხვა მსგავსი სპეცოპერაციისა და მრავალრიცხოვანი საპოლიციო ძალის გამოყენების აუცილებლობაზე, რის გამოც პანკისში ხადორი 3 ჰესის მშენებლობის უზრუნველსაყოფად 2019 წლის გაზაფხულზე დემონსტრაციული საპოლიციო ძალის გამოყენებაზე მსჯელობისას სწორედ ამ მოვლენებამდე 1 წლით ადრე სვანეთში გამართულ სპეცოპერაციასთან გაივლო პარალელი.

### *ჰესების მოწინააღმდეგე აქტივისტების მიმართ სავარაუდო ზეწოლის ფაქტები*

რეპრესიული საპოლიციო ძალის გამოყენებისა და ჰესების მოწინააღმდეგეთა ზოგადი მარგინალიზების გარდა, ასევე გამოვლინდა ჰესების მოწინააღმდეგე აქტივისტების მიმართ

<sup>165</sup> „ნენსკრაჰესის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე დაკავებულები ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს“ გადაცემა „მომბე“, საზოგადოებრივი მაუწყებელი; ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=EHnugtOSj4>

<sup>166</sup> EMC, „წინააღმდეგობის პოლიტიკა: გამოცდილება და პერსპექტივები“; 2017 წ.; გვ.175; ხელმისაწვდომია: [https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90\\_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90\\_%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf](https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf)

<sup>167</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ბრიფინგი; ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/radiotavisupleba/videos/10156649794017360/>

<sup>168</sup> Netgazeti; სვანეთში ასობით პოლიციელი შევიდა – დაპირისპირება ხაიშსა და ჭუბერში; ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/294980/>

სავარაუდო ინდივიდუალური ზეწოლის ეპიზოდები. 2018 წლის დასაწყისში მესტიაჭალაჰესის გარშემო მიმდინარე საპროტესტო აქციების ფარგლებში, ლალხორის ჩამოყალიბებისა და მის მიერ ჰესების მშენებლობის, მათ შორის ნენსკრაჰესისა და ხუდონჰესის აკრძალვისა და მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მოთხოვნის გავრცელების შემდგომ მესტიის მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების მიერ დასაქმებული სამი აქტივისტი, ლალხორის წევრები – მანანა სალიანი, ნარგის ნიგურიანი და მაია კახიანი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ისინი სამსახურიდან გაათავისუფლებას სწორედ ჰესების წინააღმდეგობაში თავიანთ აქტიურ როლს უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანმა გაათავისუფლების უკანონობის თაობაზე სასამართლოში იდავა და სამივე შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მათი სამსახურიდან გაათავისუფლება უკანონოდ შეაფასა და ბათილად ცნო შესაბამისი გადაწყვეტილებები,<sup>169</sup> თუმცა არც ერთ საქმეზე ამ ეტაპისთვის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ შესულა.

### რეკომენდაციები:

- როგორც ადგილობრივმა, ასევე ცენტრალურმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ჰესების წინააღმდეგობის პროცესში მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება და დაუყოვნებლივ აღკვეთოს ამ პროცესის ხელშეშლელი ნებისმიერი ინდივიდუალური თუ კოლექტიური ზეწოლის პრაქტიკა.

### კვლევის ძირითადი მიგნებები:

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები და პრობლემური საკითხები:

- ჰესების მშენებლობის სახელმწიფოებრივი საჭიროების ხაზგასმის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით, სამწუხაროდ, ეს პროცესი დაუგეგმავად, ენერგეტიკის სტრატეგიისა და სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს მიღების გარეშე მიმდინარეობს. ქვეყანაში არ არსებობს ჰიდროენერგეტიკის განვითარების სისტემური მიდგომა და სტრატეგია.
- მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჰესების მშენებლობის დაგეგმვა და ინვესტორებთან ხელშეკრულების დადება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გარეშე/გვერდის ავლით/უგულებელყოფით, გაუმჭვირვალე პროცედურებითა და დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის გარეშე. ასევე გაუმჭვირვალე კრიტერიუმებს ეფუძნება სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორებისთვის ხანგრძლივი

<sup>169</sup> EMC-ის 2019 წლის 26 მარტის განცხადება; ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/photos/a.549427215089922/2372057659493526/?type=3&theater>

მთის ამბები, „სვანეთში ჰესების მოწინააღმდეგე მანანა სალიანი სასამართლომ სამსახურში აღადგინა“;

ხელმისაწვდომია: <https://mtisambebi.ge/news/people/item/909-svanetshi-besebis-moxinaagmdege-manana-sagliani-sasamartlom-samsaxurshi-agadgina>



პერიოდით ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შეთავაზება და ამ ხელშეკრულებებში ტარიფის განსაზღვრაც. კვლევის ფარგლებში პრობლემურად შეფასდა ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებებით კონკრეტული კომპანიებისთვის მინიჭებული სხვადასხვა სახის პრივილეგია, მაგალითად, ნენსკრაჰესის შემთხვევაში ასეთ პრივილეგიად შეგვიძლია მივიჩნიოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფოს მიერ რისკის დაზღვევა და ა.შ.

- ასევე, პრობლემას წარმოადგენს ინვესტორების შერჩევის პროცესი და მკაცრი კრიტერიუმების არარსებობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ჰესების მშენებლობის გაცხადებულ მიზნად ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სახელდება. კერძოდ კი, ხელისუფლების მიერ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პროექტად შეფასებული ხუდონჰესის ინვესტორი ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედა“, რომლის მეწილეებზე, გამოცდილებასა თუ სხვა სახის დეტალებზე თითქმის არანაირი ინფორმაცია არ იძებნება.
- სისტემურ პრობლემას წარმოადგენს გარემოსდაცვითი, ენერგეტიკისა და ჰიდროპროექტებისთვის სხვა რელევანტური საკანონმდებლო სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულებელყოფა და საბჭოთა პერიოდის მოძველებული ნორმებით სარგებლობა. ამ მხრივ, ნაწილობრივ, გამონაკლისს წარმოადგენს ის პროექტები, რომლებშიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებია ჩართული. ინვესტორები ამ ორგანიზაციებიდან შესაბამისი დაფინანსების მისაღებად იძულებულნი არიან, პროექტები მათი პოლიტიკის დოკუმენტების სტანდარტებთან მოიყვანონ შესაბამისობაში, რის გამოც, ხშირად, იმის მიუხედავად, რომ პროექტზე შესაძლოა, სახელმწიფოს ნებართვა უკვე გაცემული ჰქონდეს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტანდარტებზე დაფუძნებით ახალი კვლევები ტარდება. მაგალითად, ნენსკრაჰესის შემთხვევაში იმის მიუხედავად, რომ კომპანიას უკვე ჰქონდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც 2015 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ შეათანხმა, კომპანიამ, საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნით, პროექტზე დამატებით ჩაატარა სოციალური და გარემოსდაცვითი კვლევები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში რადიკალურად უპირისპირდება 2015 წელს წარმოებულ კვლევას. მაგალითად, 2015 წლის გზშ-ის თანახმად, პროექტის გავლენის ზონის ფარგლებში მოქცეულია კერძო მფლობელობაში არსებული მხოლოდ 4 მიწის ნაკვეთი, ხოლო 2017 წელს გამოქვეყნებული დამატებითი კვლევების თანახმად, დაახლოებით 89 ოჯახი მოხვდება ზემოქმედების ქვეშ, მიწის, არასაცხოვრებელი ნაგებობების, ხეების, ნათესების დაკარგვის გამო.
- კვლევის ფარგლებში, ნენსკრაჰესის პროექტთან მიმართებით, ასევე პრობლემად შეფასდა 2019 წლის დასაწყისში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილება, ჰესის განახლებული პროექტის ახალი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისგან გათავისუფლების თაობაზე. ხაზი უნდა გაესვას, რომ მინისტრის ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღით უსწრებდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრსა და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. ამ გადაწყვეტილებით, პროექტში არსებითი ხასიათის ტექნიკური, ტექნოლოგიური და, რაც მთავარია, ადგილმდებარეობის ცვლილებების მიუხედავად, ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი საფრთხეების შესაფასებლად საკმარისად მიიჩნეეს 2015 წელს მომზადებული გზშ-ის ანგარიში.

- კვლევის ფარგლებში შეისწავლეს, ასევე, ჰესების პროექტის ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლებასა და საჯარო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობაზე. ხაზგასასმელია, რომ ამ სფეროში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სახელმწიფო არ აღიარებს სვანეთში არსებული ტრადიციული/სათემო საკუთრების ფორმას, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა საკუთრებაში ვერ ირეგისტრირებს მიწებს. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს განვითარების პროექტების საფუძველზე მოსახლეობის განსახლებისა და მათთვის საკომპენსაციო ღონისძიებების მარეგულირებელი სათანადო კანონმდებლობის არარსებობა, რაც, მსგავსი პროექტების შემთხვევაში, მოსახლეობას მხოლოდ კომპანიის კეთილსინდისიერების ან პროცესში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ჩართულობის იმედად ტოვებს. ასევე, პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ინვესტორი კომპანიებისთვის მიწის რესურსის წინასწარი შესწავლის გარეშე გადაცემა. მაგალითად, ხუდონჰესის ინვესტორ კომპანიას სახელმწიფომ სიმბოლურ ფასად გადასცა 1000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, რომელზეც მოექცა ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მიწები, ხაიმის საჯარო სკოლა და სხვა საჯარო სივრცეები. კვლევაზე დაფუძნებით, EMC-ის რეკომენდაციას წარმოადგენს მთავრობის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული, სათემო საკუთრების აღიარებისა და განვითარების პროექტების ფარგლებში განსახლების მომწესრიგებელი კანონპროექტების მომზადება.
- კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა ჰესებთან დაკავშირებით მარტივი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც კი. ხაზი უნდა გაესვას, რომ ჰესებთან დადებული ხელშეკრულებების დიდ ნაწილს კომერციული საიდუმლოების სტატუსი აქვს მინიჭებული. შესაბამისად, საზოგადოებას აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომა და საჯარო კონტროლის შესაძლებლობა არ გააჩნია. ამ ხელშეკრულებების შინაარსის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობისთვის მხოლოდ ფრაგმენტულად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ კვლევებსა და მედიაში გაჟონილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება ხელმისაწვდომი. აღნიშნული დოკუმენტების დახურულობა/ხელმიუწვდომლობა საზოგადოებაში ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, თვითნებური გადაწყვეტილებისა და კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით. აუცილებელია, ისეთი საზოგადოებრივი ინტერესის პროექტებთან დაკავშირებით, როგორც მაგალითად ნენსკრა და ხუდონჰესია, მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოსთან დადებული ყველა შეთანხმების გამჭვირვალობა და მათ შორის ამ დოკუმენტების პროაქტიული გამოქვეყნება.

- ასევე გამოიკვეთა ჰესების წინააღმდეგობის პროცესში მონაწილე აქტივისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების მიმართ სხვადასხვა სახის სავარაუდო ზეწოლის ფაქტები. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ-ებიდან რამდენიმე პირი გათავისუფლდა, სავარაუდოდ, მათ მიერ ჰესების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის გამო. ასევე, ხელისუფლებამ რამდენჯერმე, სხვადასხვა დასაბუთებით გამოიყენა დემონსტრაციული საპოლიციო ძალა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის აღქმით, ჰესების მიმართ მათ პროტესტს უკავშირდებოდა. აუცილებელია, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ყველა მსგავსი ინდივიდუალური თუ სისტემური ზეწოლის ეპიზოდები და ადგილობრივ მოსახლეობას მიეცეს თავისუფლება, გამოხატოს მოსაზრებები და წინააღმდეგობა ჰესების მიმართ.
- სვანეთში ინფრასტრუქტურული პროექტების გააქტიურების ფონზე, ადგილობრივი მოსახლეობა სვანეთის მკვიდრი მოსახლეობის სტატუსის მინიჭებას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათთვის ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონებას, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, სვანეთთან შეთანხმების გარეშე ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებას მოითხოვდნენ. სავარაუდოდ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის აღნიშნული მოთხოვნის ბუნდოვანებამ ან/და არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ ამ თემის მიმართ სხვადასხვა სახის ინსინუაციის/ჭორის/ცილისწამების საფუძველი გააჩინა და იმ ადამიანების მარგინალიზების მიზეზი გახდა, ვინც ადვოკატირებს აღნიშნულ თემას. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასა და აქტივისტებთან ობიექტურ სამეცნიერო კვლევებსა და ამ საკითხზე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებით, კონსტრუქციული კომუნიკაციის წარმოება ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების მხრიდან.